პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 13 ოქტომბერი, 1951 წ. № 242 (9096). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ — „პრავდის" 12-X მოწინავე (1-ლი გვერდი).
ახალი წარმატებებით შევხვდეთ ოქტომბრის 34-ე წლისთავს (1-ლი გვერდი).
სტალინური პრემიის ლაურეატი დუვანოვი თბილისში (1-ლი გვერდი).
როცა ხელმძღვანელობა არაკონკრეტულია (მე-2 გვერდი).
კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტები პასუხად ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციისა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხზე (მე-2 გვერდი).
ქ. შარტავა—ცხაკაიას რაიონის სამ[illegible]
რიწველო საწარმოები [illegible] გზაზე (მე-3 გვერდი).
გალში სასიგარე [illegible] (მე-3 გვერდი).
პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად — პოლიტსკოლაში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკის შესახებ (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ

საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი წარმატებებით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთოთხმეტე წლისთავს. დღითიდღე იზრდება მასების შემოქმედებითი ინიციატივა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შრომითი აქტივობა.

მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომა ისტორიის ბედის გადამწყვეტი დიადი და შემოქმედებითი შრომაა.

ამხანაგი სტალინი ამბობს: „მუშები და გლეხები, რომლებიც უხმაუროდ და უყვირჩაუროდ აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მაღაროებსა და რკინიგზებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აჭმევენ და აცმევენ მთელ მსოფლიოს, — აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი".

[illegible]

შრომისა და შემოქმედების პათოსი, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ჩვენი ქვეყანა, წარმოშობილია სოციალისტური სამშობლოსადმი საბჭოთა ადამიანების მხურვალე სიყვარულით. რაც უფრო ძლიერი და ძლევამოსილია საბჭოთა სახელმწიფო, რაც უფრო უხვია მისი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი, მით უკეთესია ხალხის ცხოვრება — ასეთია თვითეული საბჭოთა პატრიოტის რწმენა, რაც სოციალისტური მშენებლობის ათეულმა წლებმა დაადასტურა.

საბჭოთა ხალხი თავისი შრომის ნაყოფს იმკის, რასაც მოწმობს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე ახორციელებს; ამას მოწმობს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ზრდა. იმის შეგნება, რომ ჩვენი ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავისთვის, თავისი სახელმწიფოსათვის მუშაობენ, მათ ადაფრთოვანებს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის, იგი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მძლავრ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

[illegible]

...მოს კოლექტივები, კოლმეურნეები, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები. მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის მასიდან გამოდიან შეჯიბრების ახალ-ახალი მოწინავენი, რომელთა მაგალითს ბაძავს, რომელთა გამოცდილებას ეუფლება ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მილიონობით მონაწილის დროშას აწერია: „შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშვიდობისათვის". საბჭოთა ადამიანების შეგნებაში მშვიდობისათვის ბრძოლა განუყოფელია საბჭოთა კავშირის — მშვიდობის ურყევი ბურჯის ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლისაგან. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი დიდი და შემოქმედებითი შრომით განამტკიცებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, რომელიც მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას.

„პრავდის" 12-X მოწინავე

ახალი წარმატებებით შევხვდეთ ოქტომბრის 34-ე წლისთავს

ამცირებენ ფოლადის დნობის ხანგრძლივობას

რუსთავი. (საქ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეები მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერას ახალი შრომითი მიღწევებით განამტკიცებენ.

მოწინავე მეფოლადეებმა ვ. გიგიბერიამ, გ. სიგუამ და შ. კუხალეიშვილმა იკისრეს ოქტომბერში გეგმის გადამეტებით გამოადნონ 300 ტონა ფოლადი, ნახევარი საათით შეამცირონ დნობის ხანგრძლივობა, დაზოგონ საწვავი და მეოთხე კვარტალში თავიანთი პირველი მოადგილეები მეფოლადეებად მოამზადონ.

ვალდებულების აღების მეორე დღიდანვე მათ სიტყვა საქმედ აქციეს. შ. კუხალეიშვილმა დნობის ხანგრძლივობა გათვალისწინებულზე უფრო მეტად შეამცირა, ცვლაში გეგმის გადამეტებით გამოადნო 35 ტონამდე ფოლადი და დღიური დავალება 146,5 პროცენტით გაანაღდა.

პროდუქცია 1952 წლის ანგარიშში

— წლიური დავალების 5 დეკემბრისათვის განაღდება, თვითღირებულების 5 პროცენტით შემცირება — ასეთია თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის კოლექტივის საოქტომბრო ვალდებულება.

ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელ თვეებში გააუმჯობესა მუშაობა, საერთო პროდუქციის გამოშვების სექტემბრის გეგმას 10,5 პროცენტით გადააჭარბა, ხოლო მიმდინარე წლის 9 თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასიათასობით მანეთის პროდუქცია.

გალვანურმა და თუნუქის ნაწარმის დამამზადებელმა საამქროებმა წლიური გეგმები 1 ოქტომბერს შეასრულეს. ამჟამად ეს საამქროები 1952 წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

ოქტომბრის პირველ დეკადაში დაწინაურდნენ ბრიგადები, რომელთაც მგლინავი ნ. შომახია და მდნობელი ვ. ბენდიანიშვილი ხელმძღვანელობენ.

მანქანათმშენებლები გადაჭარბებით ასრულებენ ვალდებულებებს

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროებში ფართოდ გაიშალა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ამწყობ საამქროს კოლექტივმა იკისრა 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას მრავალი აბრეშუმსაქსოვი დაზგა. ამ ვალდებულების წარმატებით შესრულების მიზნით ამწყობმა ზეინკლებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს მექანიკური საამქროს კოლექტივი, რომელმაც გამოწვევა მიიღო და იკისრა იმდენი ზეგეგმითი სადაზგე დეტალების მექანიკური დამუშავება, რამდენიც საჭიროა ამწყობი ზეინკლების შეუფერხებელი მუშაობისათვის. ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სამსხმელო, სამჭედლო და საექსპერიმენტო საამქროთა კოლექტივებმა. შეჯიბრების მთავარ პირობად მანქანათმშენებლებმა წამოაყენეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება და მოწყობილობის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება.

მოწინავე მანქანათმშენებლები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ. მათ ოქტომბრის პირველი დეკადა ახალი საწარმოო გამარჯვებით აღნიშნეს. სამჭედლო საამქროს კოლექტივმა დეკადის გეგმა 115 პროცენტით შეასრულა და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს სადაზგე დეტალების გამოჭედვის წლიური დავალება. ცნობილი მჭედლები ვ. კორძაძე, ი. სპიცინი და ა. არეშოვი ყოველდღე 3-4 ნორმას ასრულებენ.

საექსპერიმენტო საამქროს ზეინკლები ს. ჩახიძე, ი. ისაევი და გ. ყველაშვილი ამჟამად ტრანსპორტიორის პირველი სერიის (6 კომპლექტის) აწყობაზე მუშაობენ და განზრახული აქვთ ექსივე კომპლექტის აწყობა ვადაზე ადრე—25 ოქტომბრისათვის დაამთავრონ. სტახანოველმა გ. ყველაშვილმა ტრანსპორტიორის პირველი კვანძის (ალკეული ნაწილების შესადუღებლად სპეციალური სამარჯვები გამოიგონა, ამ სამარჯვების გამოყენებამ შედუღების პროცესი დააჩქარა.

მექანიკურ საამქროში ხარატი ს. დანგიაშვილი დავალებას სისტემატურად 280-290 პროცენტით ასრულებს. ამავე საამქროში ძაფსართავი დაზგის რედუქტორის ტანის გაჩარხვაზე მუშაობს სტახანოველი მ. კოვალიოვი. სპეციალური სამარჯვის გამოყენებით, რომელიც მან გამოიგონა, იგი ცვლაში 6-8 დეტალის ნაცვლად 20 რედუქტორის ტანის მექანიკურ დამუშავებას ასწრებს. ლითონჩამტეხმა ს. ნამურაძემ მრანდავის პროფესიაც შეისწავლა. მან გააუმჯობესა მილისას დამუშავების ტექნოლოგია; ერთის ნაცვლად დაზგაზე 2 მილისა მოათავსა და ერთდროულად მოახერხა მათი მექანიკური დამუშავება. ამ გაუმჯობესების შედეგად ნამურაძე დღიურ ნორმას 250 პროცენტით ასრულებს.

ნაკისრ ვალდებულებებს ასევე გადაჭარბებით ასრულებენ ხარატები მ. გოგილაშვილი, ე. ტარასენკო, მ. აკოფოვი და სხვები.

ქარხნის კოლექტივმა წელს დაამზადა ჩქაროსნული აბრეშუმსაქსოვი დაზგის 2 საცდელი ეგზემპლარი. თბილისის ა. თოფურიძის სახელობის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ამ დაზგების საწარმოო გამოცდამ საუკეთესო შედეგები მოგვცა. წელს მანქანათმშენებლები ამ დაზგების პირველ სერიას დაამზადებენ, ხოლო მომავალი წლიდან მათ მასობრივად გამოუშვებენ.

სტალინური პრემიის ლაურეატი პ. დუვანოვი თბილისში

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მოწვევით თბილისში ჩამოვიდა ვორონეჟის აგურის ქარხნის ოსტატი, აგურის გამოწვის ცნობილი ნოვატორი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. დუვანოვი.

ამხ. დუვანოვის სახელი ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში. მან შეიმუშავა აგურის გამოწვის ახალი, გაუმჯობესებული მეთოდი, რომელმაც დიდად გაზარდა რგოლა ღუმელის წარმადობა. პ. დუვანოვმა შეცვალა ღუმელში გამოსაწვავი აგურის წყობის ძველი წესი, აგურები ერთმანეთს უფრო დააშორა, რითაც დააჩქარა ცეცხლის მოძრაობა და ღუმელის მოცულობის ყოველ კუბმეტრზე თვეში 700-ის ნაცვლად 2.000 ცალი აგური გამოწვა.

აგურის გამოწვის დუვანოვის მეთოდს ამჟამად ფართოდ იყენებენ საქართველოს აგურის ქარხნებიც. სამტრედიის, საბურთალოს და გურჯაანის აგურის ქარხნებმა რგოლა ღუმელის ყოველ კუბმეტრზე თვეში 1.200-1.300-მდე გაადიდეს აგურის გამოწვა.

ამხ. პ. დუვანოვს განზრახული აქვს დაათვალიეროს საქართველოს ზოგიერთი აგურის ქარხანა, ნახოს ქართველი მეაგურეები როგორ იყენებენ მის მეთოდს, და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო რჩევა-დარიგება მისცეს.

გუშინ ამხ. დუვანოვმა დაათვალიერა საბურთალოს აგურის ქარხანა.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოში

პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების საბჭოების არჩევნები

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ გადაწყვიტა მოაწყოს 1952 წლის 1 თებერვლიდან 1 მარტამდე საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ფიზკულტურის საბჭოების ანგარიშგება და არჩევნები. 10 მარტამდე უნდა მოეწყოს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების რაიონული, საგზაო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური კონფერენციები.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დაავალა პროფკავშირთა კომიტეტებს არჩევნები გამოიყენონ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის, ფიზკულტურელთა სპორტული მიღწევების დონის ამაღლებისათვის.

პროფესიულ კავშირთა საბჭოებს წინადადება მიეცათ საჭირო დახმარება გაუწიონ პროფესიულ ორგანიზაციებსა და სასპორტო საზოგადოებათა საბჭოებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მოწყობაში. (საკდესი).

დონელმა კოლმეურნეებმა დაამთავრეს საშემოდგომო კულტურების თესვა

დონის-როსტოვი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დონელმა კოლმეურნეებმა შეასრულეს საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა. უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურა — ხორბალი დათესილია 150 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე ომამდელ, 1940 წელს დაითესა.

მხატვრული თვითმოქმედების საქართველოს მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადა

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების საქართველოს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური ოლიმპიადა დაიწყება 15 ოქტომბერს და დამთავრდება 21 ოქტომბერს.

ოლიმპიადის მონაწილენი გამოვლენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ყველა რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები, რომელთაც გაიმარჯვეს ქალაქებისა და რაიონების დათვალიერებაზე. ოლიმპიადაში აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის სისტემაში შემავალი კულტურის სახლების, კლუბებისა და სოფლის სამკითხველოების, პროფესიული კავშირებისა და საკოლმეურნეო კლუბების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 15 ოქტომბერს გაიხსნება მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები: ფერწერა, მხატვრული ქარგულობა, ხალიჩები, ხეზე კვეთილობა, ძვალზე კვეთილობა, ჭედურობა, ქანდაკება, ხეზე ამოწვა და სხვ.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოყოფილია სარეპერტუარო კომისია და ოლიმპიადის ჟიური.

ოლიმპიადის მონაწილე თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები გამოვლენ აგრეთვე თბილისის საწარმო-დაწესებულებათა კლუბებში, კულტურის სახლებსა და პარკებში, რუსთავში, სამგორში და გარეუბნის რაიონის კლუბებში.

საქართველოს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ადგილობრივი დამთვალიერებელი კომისიების მიერ შერჩეული თვითმოქმედი კოლექტივები ქალაქებისა და რაიონების მიხედვით თბილისში უნდა ჩამოვიდნენ დილით შემდეგ დღეებში:

14 ოქტომბერს (კვირას) — ფოთი, გეგეჭკორი, ზესტაფონი, წყალტუბო, ზემო-სვანეთი, ონი, ბოგდანოვკა, გორის რაიონი, ყაზბეგი, მახარაძე, საგარეჯო, თეთრი წყარო;

15 ოქტომბერს (ორშაბათს) — აფხაზეთის ასსრ რაიონები;

16 ოქტომბერს (სამშაბათს) — ჩხოროწყუ, ლანჩხუთი, ტყიბული, ქვემო სვანეთი, ახალქალაქი, კასპი, კაჰრეთი, სიღნაღი;

17 ოქტომბერს (ოთხშაბათს) — ქ. გორი, ქ. ჭიათურა, ქ. რუსთავი, ხობი, ვანი, საჩხერე, ასპინძა, ბორჯომი, ადიგენი, ლაგოდეხი, ყვარელი, მარნეული, დმანისი;

18 ოქტომბერს (ხუთშაბათს) — აჭარის ასსრ რაიონები, აბაშა, ქუთაისის რაიონი, სამტრედია, ცაგერი, ბოლნისი, ახმეტა, გურჯაანი, გარდაბანი, წალკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი;

19 ოქტომბერს (პარასკევს) — ზუგდიდი, ამბროლაური, თერჯოლა, ახალციხე, თიანეთი, მცხეთა, წულუკიძე, წითელწყარო, ჭიათურის რაიონი, ქარელი, წალენჯიხა, მაიაკოვსკი;

20 ოქტომბერს (შაბათს) — ცხაკაია, ორჯონიკიძე, დუშეთი, ხაშური, თელავი, ჩოხატაური, ქ. ქუთაისი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **იმნაძე** და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ქულუხოვი** იტყობინებიან, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მატყლის დამზადების წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 260 ცენტნერი მატყლი.

მატყლის დამზადება გრძელდება.

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მატყლის დამზადების სახელმწიფო გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის თელავის რაიკომის მდივანი ამხ. **სეხნიაშვილი** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **უთიაშვილი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 100,3 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების წლიური გეგმა.

მატყლის დამზადება გრძელდება.

სოციალისტური შრომის გმირები

დ. ფ. სიხარულიძე

ჩოხატაურის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 127,4 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ვ. ი. სრიბნოვა

ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.204 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

მ. მ. მჟავანაძე

ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 7.009 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

შ. ძ. ჟურულია

ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7.197 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

პარტიული ცხოვრება

როცა ხელმძღვანელობა არაკონკრეტულია

პარტიის ზნაურის რაიკომში არაერთხელ გამოუთქვამთ უკმაყოფილება სოფელ ბალთის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ცუდი მუშაობის გამო.

დაიწყება რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კამპანია, და ბალთაში მიდის რაიკომის წარმომადგენელი. იგი იქ ხანგრძლივად რჩება. დავალების შესასრულებლად ჩაღდება „იერიშობანა", მუშაობა ერთგვარად გამოცოცხლდება, როგორც იქნება კოლმეურნეობა შეასრულებს დავალებას, და რაიკომის წარმომადგენელი სტოვებს სოფელს. კოლმეურნეობის მუშაობა მალე ისევ ძველ კალაპოტს უბრუნდება. ასე გრძელდება წლების განმავლობაში.

შარშან ბალთას მეზობელი კოლმეურნეობები შემოუერთდნენ. არტელი გამსხვილდა. შეიქმნა მუშაობაში გარდატეხის მოხდენის შესაძლებლობა. მაგრამ მსხვილი მეურნეობის უპირატესობა აქ გამოუყენებელია.

რაიკომი არ ივიწყებს კოლმეურნეობას. როგორც ვთქვით, ხშირად გზავნის თავის წარმომადგენელს დასახმარებლად. ისმება კითხვა—მეტი რაღაა საჭირო?

საქმე ის არის, რომ რაიკომი თუმცა ცდილობს, რომ კოლმეურნეობამ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულოს, მაგრამ ივიწყებს მთავარს —იმას, რომ კოლმეურნეობა სერიოზულ სამეურნეო წარმატებებს ვერ მოიპოვებს, თუ განმტკიცებული არ იქნა პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით. რაიკომი სათანადოდ არ აფასებს კოლმეურნეთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობას, კოლმეურნეობის ჩამორჩენის გამოსწორებას არ იწყებს პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით.

არადამაკმაყოფილებელმა ხელმძღვანელობამ ის გამოიწვია, რომ ამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის როლი საკოლმეურნეო წარმოებაში სრულიად უმნიშვნელოა. ამას ადვილად მიხვდებოდნენ რაიკომის მუშაკები, თუნდაც პარტიული კრების ოქმებს რომ გასცნობოდნენ. მოვიყვანთ მაგალითებს:

10 აგვისტოს პარტიულ კრებაზე განიხილეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების მიმდინარეობის საკითხი. მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. გაგიევმა. როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათე ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მოსავლის აღების ტემპი სრულიად არადამაკმაყოფილებელია, საწარმოო ბრიგადები გეგმებს ვერ ასრულებენ, დაბალია შრომის დისციპლინა, ცუდადაა დაყენებული დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თვითეული პუნქტი იწყება შემდეგი სიტყვებით: „დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობას"...

როგორც მსჯელობის, ისე დადგენილების მიღების დროს არ იყო საკითხისადმი პარტიული მიდგომა. პარტორგანიზაცია განზე გაუდგა მნიშვნელოვან საქმეს, თავი აარიდა თავის პირდაპირ მოვალეობას და ყველაფრისათვის პასუხისმგებლობა კოლმეურნეობის გამგეობას დააკისრა.

პარტიულ კრებაზე საკითხის ასე განხილვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა საქმეზე... 10 დღის შემდეგ, 20 აგვისტოს, პარტიულმა კრებამ კვლავ განიხილა პურეულის აღების საკითხი. კვლავ აღინიშნა ნაკლოვანებანი, დაიწერა დადგენილება, რომლის ყველა პუნქტი კვლავ ასე იწყებოდა: „დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობას"...

კრებაზე არაფერი თქმულა მოსავლის აღების დღეებში კოლმეურნეთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების აუცილებლობაზე, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაზე.

პარტიულმა კრებამ კომუნისტებს არ მისცა კონკრეტული მოქმედების გეგმა. საქმე კვლავ თვითდინებას მიენდო, რასაც არასახარბიელო შედეგები მოჰყვა. კოლმეურნეობამ მოსავლის აღების დამთავრება 21 დღით დააგვიანა. ამან გაზარდა დანაკარგები. ზნაურის რაიონში მიმდინარე წელს ბევრმა კოლმეურნეობამ მიიღო პურეულის მაღალი მოსავალი. ბალთის კოლმეურნეობა კი კვლავ ჩამორჩენილთა რიგებში აღმოჩნდა. აქ თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 5,5 ცენტნერი პურეული მიიღეს.

რა დასკვნა გააკეთა პარტორგანიზაციამ ამ გაკვეთილიდან?

საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადების დღეებმა ნათელყო, რომ ეს პარტორგანიზაცია არ ცდილობს ისე წარმართოს საქმე, რომ მომავალ წელს მაინც მიიღონ კარგი მოსავალი.

საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხი არც-კი განუხილავთ პარტიულ კრებაზე. პარტორგანიზაციას არ განუსაზღვრავს თავისი როლი ამ საპასუხისმგებლო კამპანიაში. კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა კი თვითდამშვიდების არავითარ საფუძველს არ იძლევა.

კოლმეურნეობამ 140 ჰექტარზე უნდა დათესოს შემოდგომის პურეული. უკვე დადგა თესვის გადამწყვეტი დღეები. კოლმეურნეობას აკლია სათესლე მასალა, ხოლო რაც აქვს, ისიც შეუმოწმებელია. 10 ოქტომბრისათვის არც ერთი კილოგრამი თესლი არ იყო აყვანილი სათეს კონდიციამდე. ძლიერ გვიანდება სიმინდის მოსავლის აღება.

კოლმეურნეობაში არ შეუდგენიათ საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარების გეგმა. სავსებით დაივიწყეს სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეთა ნაწილი თავს არიდებს საერთო საქმეს...

პარტორგანიზაციის გავლენა არ იგრძნობა საკოლმეურნეო წარმოების სხვა უბნებზეც. ავიღოთ კოლმეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი — მეცხოველეობა. მეცხოველეობის ფერმის გამგედ კომუნისტი არ. ჯიჰოევი მუშაობს. პარტორგანიზაცია ვალდებულია განსაკუთრებული მოთხოვნები წაუყენოს ფერმის გამგეს, ამასთან დაეხმაროს მას მუშაობაში. მაგრამ ფერმაში არსებულ ნაკლოვანებებს არც კი ეხმაურება პარტიული ორგანიზაცია. ფერმის მუშაკთა შორის არავინ ეწევა საგიტაციო მუშაობას. არ ცდილობენ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების დანერგვას.

პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები შესრულებული არ არის. გეგმის შესრულებას აკლია 21 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ხოლო ცხვარი და თხა გეგმით გათვალისწინებული 550 სულის ნაცვლად 203 სული ჰყავთ. გეგმების შეუსრულებლობა გამოიწვია პირუტყვის მოვლა-პატრონობის მოუწესრიგებლობამ. მარტო წელს კოლმეურნეობაში დაიხოცა 25 სული მსხვილფეხა და 59 სული წვრილფეხა საქონელი. ძლიერ დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 735 ლიტრის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 220 ლიტრი რძე. საჭირო იყო პარტორგანიზაციას შეესწავლა ძროხების დაბალი წველადობის მიზეზი.

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ კომუნისტი მ. შალიბაშვილი მუშაობს. მაგრამ იგი დაკისრებულ მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდება. ამხ. შალიბაშვილი წელს მხოლოდ ერთხელ მივიდა ფერმაში საკონტროლო წველის ჩასატარებლად, მაშინაც ზერელედ მოეკიდა საქმეს, აქტის დაწერაც კი დაავიწყდა.

რა ფასი აქვს ისეთ სარევიზიო კომისიას, რომელიც ფხიზლად არ დგას საკოლმეურნეო დოვლათის სადარაჯოზე?

ივლისში პარტიულ კრებაზე განიხილეს მეცხოველეობის ფერმაში არსებული მდგომარეობის საკითხი. კრებამ გამოააშკარავა სერიოზული ნაკლოვანებანი. საჭირო იყო საქმიანი ღონისძიებების დასახვა, ენერგიული ზომების განხორციელება, პარტორგანიზაციის ძალების, აქტივის დარაზმვა ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის. მაგრამ კრებამ ყველაფერი ფერმის გამგეს დაავალა. მოვიყვანთ დადგენილებას. „დაადგინეს: მიეცეს გაფრთხილება ფერმის გამგეს ამხ. არ. ჯიჰოევს და გააუმჯობესოს მუშაობა. გააფრთხილოს ფერმის წევრები, რომ უკეთესად მოუარონ საქონელს, აწარმოოს წველადობის აღრიცხვიანობის ფორმები წესიერად".

ზერელე დადგენილებამ ვერ უშველა საქმეს.

მეცხოველეობის საკითხი 20 აგვისტოს კვლავ განიხილეს პარტიულ კრებაზე. ამჯერად ყველაფერი კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა. ორი თვის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის უნდა აშენდეს სადგომი. დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე საზოგადოებრივი პირუტყვის საკვების საკმაო რაოდენობით დამზადებას. საკმაო დრომ განვლო. პირუტყვის სადგომის მშენებლობა ჯერ არ დაუწყიათ, ძლიერ ჭიანურდება სილოსის ჩადება და უხეში საკვების დამზადებაც. დადგენილების შესრულებისათვის პასუხისმგებლობას არავინ არ გრძნობს.

პარტორგანიზაცია პატივისცემით არ ეპყრობა თავის გადაწყვეტილებას, არ ამოწმებს მის შესრულებას. პარტიულ კრებას აქ მოუმზადებლად იწვევენ, უგულებელყოფილია მისი, როგორც კომუნისტების აღზრდის სერიოზული სკოლის როლი.

პარტორგანიზაცია ვერ ერკვევა მის წინაშე მდგომ ამოცანებში, არ იჩენს ინიციატივას. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. ნოზაძე არ ცდილობს აქტიურად ჩააბას კომუნისტები პარტიულ მუშაობაში.

კომუნისტ დ. კაჩლაევს, რომელიც კოლმეურნეობის ბუხჰალტრად მუშაობს, საშუალო განათლება აქვს.

— გამსხვილებული კოლმეურნეობის ბუხჰალტრობა ძნელი საქმეა. გავითვალისწინეთ რა ეს, კაჩლაევს პარტიული დავალება აღარ მივეცით, — განაცხადა გ. ნოზაძემ.

პარტორგანიზაციის მხრივ ასეთმა „შეღავათმა" მოადუნა კომუნისტ დ. კაჩლაევის პასუხისმგებლობა. იგი აღარ მუშაობს საკუთარ თავზე.

პარტიული დავალება არა აქვთ მიცემული აგრეთვე კომუნისტებს: კოლმეურნეობის საწყობის გამგეს მ. გაგიევას, კოლმეურნეობის ბრიგადირს პ. ბეპიევს, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს მ. შალიბაშვილს და სხვებს. ასეთმა „თავისუფლებამ" კომუნისტებს მოუდუნა პასუხისმგებლობა. პარტორგანიზაცია კი მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს ადამიანები, შეისწავლოს მათი საქმიანი თვისებები.

პარტიის ზნაურის რაიკომმა კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიოს სოფელ ბალთის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციას, აამაღლოს მისი ორგანიზატორული მუშაობის დონე, მისი როლი საკოლმეურნეო წარმოებაში, კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დროს დაეყრდნოს პარტიულ ორგანიზაციას და მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა სამეურნეო საქმიანობაზე.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ხაბაროვსკი. შორეული აღმოსავლეთის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ვ. ა. ზოლოტნიცკიმ წარმატებით გამოიყვანა სოიის ძვირფასი უხვმოსავლიანი ჯიში. ამ მიღწევისათვის მას სტალინური პრემია მიენიჭა.

სურათზე: სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ა. ზოლოტნიცკი და სოიის სელექციის ტექნიკოსი კომკავშირელი გ. გ. ტიმოშენკო ათვალიერებენ მწიფე სოიას.

ფოტო ვ. ზადვილოვისა (საკდეს ფოტოქრონიკა)

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

★

კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე

სტავროპოლი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ფართოვდება სამუშაოთა ფრონტი ვოლგის მარცხენა ნაპირზე იმ რაიონში, სადაც იქნება კუიბიშევის ჰიდროკვანძის სანაოსნო სისტემა. დღემდე ქვედა რაბის ზღუდარის ამოღება ხდებოდა მშრალი წესით — ექსკავატორებით, ბულდოზერებითა და სკრეპერებით. ახლა ამ მექანიზმებს ემატება მიწისმწოვი მანქანები, რომლებიც მუშაობას აწარმოებენ ჰიდრომექანიზაციის მეთოდით. აქ მუშაობს ორი მიწისმწოვი მანქანა; თვითეული მათგანის წარმადობა საათში ასი კუბური მეტრი გრუნტია. ერთი მათგანი ავსებს ზღუდარს, მეორე წყალს ტუმბავს, რის შემდეგაც დაიწყებს ქვაბულიდან გრუნტის ამოღებას. დამონტაჟებულია და უახლოეს დღეებში მწყობრში ჩადგება ორი ასეთივე აგრეგატი, ხოლო ორს კიდევ ამონტაჟებენ. ექვსივე ეს მანქანა გრუნტს ამოიღებს ქვაბულიდან და დაყრის ზღუდარში, რომელიც ქვაბულს დაიცავს გაზაფხულის წყალდიდობისაგან.

ჩრდილოეთ ყირიმის არხის მშენებლობაზე

ჯანკოი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ჯანკოიდან რამდენიმე კილომეტრზე უზარმაზარი ტერიტორია დაიკავა ჩრდილოეთ ყირიმის არხის სამრეწველო მოედანმა. აქ აშენებენ ქარხნებს, სახელოსნოებს, ტექნიკური მომარაგების საწყობებს.

გაჰყავთ რკინიგზა. მექანიზატორებმა, რომლებსაც ოსტატი პარამონოვი მეთაურობს, ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა. გზის მუშაკთა კოლექტივის წევრები ერთმანეთს ეჯიბრებიან დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავისათვის მიწის სამუშაოთა დამთავრებაში.

თურქმენეთის მთავარი არხის ტრასაზე

აშხაბადი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). თურქმენეთის მთავარი არხის ტრასის ცენტრალურ უბანზე, ბალა-იშემის ჰეს რაიონში, ფოსტის განყოფილება გაიხსნა. უზბოის აეროგეოლოგიური ექსპედიციის შტაბში, რომელიც ყზილმარკის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობს, მუშაობა დაიწყო რადიოკვანძმა. ექსპედიციის მონაწილეთა ყველა კარავში დადგმულია რეპროდუქტორები. ტრასის გამომკვლევ რაზმებს შტაბთან სატელეფონო კავშირი აქვთ.

წარმოებს დიდი მუშაობა იმ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში კავშირგაბმულობის საშუალებათა გასაფართოებლად, რომლებიც თურქმენეთის მთავარი არხის ზონაში მდებარეობენ.

ტყის ნარგავები ჩრდილოეთ ყირიმის არხის ზონაში

სიმფეროპოლი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). საიდელ სავლეე დენდროლოგიურ სანერგეში პირველად ყირიმში თესლით გამრავლების საშუალებით გამოყვანილია მაღალტანიანი სწრაფმზარდი პირამიდალური ალვის ხის ნერგები. ათასობით ნერგს გადასცემენ არხის ზონაში მდებარე მეურნეობებს. 20 ჯიშის დეკორატიული და თაფლიანი ბუჩქი ოქტომბრის დამლევს გამოყვანილი იქნება კრასნი პერეკოპის, ჯანკოის და ოლქის სხვა ჩრდილოეთ რაიონებში.

ბოტანიკოსებს გამოჰყავთ ახალი ჯიშების ვაშლი, მსხალი და სხვა ხეხილი, რომლებიც შეგუებული არიან ჩრდილოეთ ყირიმის დამლაშებულ ნიადაგს.

საბჭოთა მთავრობის ნოტები

პასუხად ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციისა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხზე

ამა წლის 26 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი კერკი, დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი გრეი და საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ბრიონვალი ეწვივნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გადასცეს ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციისა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხზე.

11 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი კამინგი, დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი გრეი და საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ბრიონვალი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციის საპასუხოდ.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციის ტექსტი და ტექსტი საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების დეკლარაცია

„შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და შეერთებული სამეფოს მთავრობები რამდენიმე ხნის განმავლობაში განიხილავდნენ საკითხს — თავისუფალი ერების თანამშრომლობის ჰარმონიული განვითარების ინტერესებისათვის, საუკეთესოდ როგორ გადაიჭრას იტალიასთან საზავო ხელშეკრულებით დასმული პრობლემა.

იტალიელი ხალხის სურვილის შესაბამისად, იტალიამ, რომელიც ლოიალურად თანამშრომლობდა მოკავშირეებთან ომის უკანასკნელ პერიოდში როგორც მეომარი მხარე, აღადგინა დემოკრატიული ინსტიტუტები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთების შესაბამისად იტალია მუდამ ისე უწყობდა ხელს სხვა მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ მთავრობებს, როგორც საჭიროა თავისუფალი მსოფლიოს სოლიდარობისათვის.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იტალიამ სამ შემთხვევაში მიიღო იმ წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის მხარდაჭერა, რომლებიც ხმას აძლევენ გენერალურ ასამბლეაში, იგი, უსამართლო ვეტოს ძალით, დღემდე დაშვებული არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, ხელშეკრულებისა და წესდების დებულებათა საწინააღმდეგოდ.

უფრო მეტიც, იტალია დღემდე, საზავო ხელშეკრულების შესაბამისად, რამდენადმე შეზღუდულია და მისი ქმედითობა შემცირებულია. ეს შეზღუდვა აღარ შეესაბამება არც ამჟამად არსებულ მდგომარეობას და არც იტალიის როგორც დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ოჯახის აქტიური და თანასწორი წევრის სტატუსს.

ამიტომ სამ მთავრობათაგან თვითეული მთავრობა ამით აცხადებს, რომ მზად არის კეთილსასურველად განიხილოს იტალიის მთავრობის ის თხოვნა—აღიკვეთოს, რამდენადაც ეს ეხება მის ინდივიდუალურ ურთიერთობას იტალიასთან და მესამე მხარეთა უფლებების შეულახავად, ამჟამად არსებული მუდმივი შეზღუდვანი და დისკრიმინაცია, რომლებიც მოვლენებმა სრულიად აღმოფხვრეს, ან რომელთაც არავითარი გამართლება არა აქვთ ახლანდელ ვითარებაში, ანდა ეხებიან იტალიის თავდაცვისუნარიანობას.

სამ მთავრობათაგან თვითეული ამით კვლავ ადასტურებს თავის მისწრაფებას ყოველი ღონე იხმაროს, რათა იტალიისათვის უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა.

სამი მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ დეკლარაციას ფართოდ მოიწონებენ საზავო ხელშეკრულების ხელმომწერი სხვა მხარეები და რომ ისინი აგრეთვე მზად იქნებიან იმოქმედონ ანალოგიურად".

საბჭოთა მთავრობის 1951 წლის 11 ოქტომბრის ნოტა

„იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ამა წლის 26 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ეს მთავრობები აყენებენ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხს, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

1. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, აყენებენ რა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხს, იმოწმებენ იმას, რომ ეს გადასინჯვა თითქოს საჭიროა „თავისუფალი ერების თანამშრომლობის განვითარების" ინტერესებისათვის. ასეთი ახსნა წარმოადგენს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის ნამდვილი მიზნების მხოლოდ დამალვას. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ნამდვილად საქმე ეხება არა მარტოოდენ იტალიის თანამშრომლობის განვითარებას სხვა ქვეყნებთან, არამედ იმას, რომ იტალია გამოყენებულ იქნას აგრესიული ატლანტიკის ბლოკის ინტერესებისათვის, და ამიტომ გაუქმებულ იქნას იტალიის შეიარაღებული ძალების მიმართ საზავო ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვანი.

საბჭოთა მთავრობამ თავის 1949 წლის ივლისისა და სექტემბრის ნოტებში უკვე მიაქცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათა ყურადღება იმას, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში შესვლით იტალიამ იკისრა ვალდებულებანი, რომლებიც არ შეესაბამებიან საზავო ხელშეკრულებას, ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ პასუხისმგებლობას, რაც ამასთან დაკავშირებით ხსენებულ მთავრობებს ეკისრებათ.

იტალიის მთავრობა, რომელიც ამჟამად საზავო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევით ახორციელებს საომარი მზადების ფართო პროგრამას, ხდება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისათვის ცოცხალი ძალის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი, რასაც აშკარად აღიარებენ იტალიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები. მაგალითად, 1950 წლის ოქტომბერში იტალიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა მარასმა ვაშინგტონში ყოფნისას განაცხადა, რომ იტალიამ უკვე გადასცა ატლანტიკის კავშირის განკარგულებაში ისეთი სამხედრო ძალები, რომლებიც ყოველ შემთხვევაში უდრიან სხვა უდიდესი კონტინენტური სახელმწიფოების ძალებს, და რომ იტალია საფრანგეთთან და დასავლეთ გერმანიასთან ერთად იქნება ის სახელმწიფო, „რომელიც ყველაზე მეტ წვლილს შეიტანს ცოცხალი ძალის მხრივ". იტალიის თავდაცვის მინისტრმა პაჩარდიმ 1950 წლის ნოემბერში იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ, იღებს რა მხედველობაში ომს ინდო-ჩინეთში, რასაც საფრანგეთი ეწევა, იგი ვერ ხედავს, „რომ ატლანტიკის კავშირის რომელიმე სხვა სახელმწიფომ შეძლოს მეტი დივიზიის გამოყვანა, ვიდრე იტალიას შეუძლია".

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ცდილობენ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა გამოიყენონ იმისათვის, რომ იტალიის ტერიტორია, მისი ადამიანთა და მატერიალური რესურსები შეუგუონ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის აგრესიული მიზნების განხორციელებას, რაც შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის აგრესიული პოლიტიკის მთელ მიმართულებას.

ამ პოლიტიკას საერთო არა აქვს რა ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებთან, ისე როგორც საერთო არა აქვს რა არც იტალიელი ხალხის ინტერესებთან, რომელიც ჯერ კიდევ არ გამართულა წელში იმ გაჭირვების შემდეგ, რაც მას მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა. ასეთ პოლიტიკას არ შეუძლია იტალია და იტალიელი ხალხი არ მიიყვანოს უფრო მეტ უბედურებამდე, ვიდრე ერთხელ უკვე მიიყვანა ჰიტლერისა და მუსოლინის პოლიტიკამ.

2. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა დეკლარაცია შეიცავს აგრეთვე განცხადებას, რომ საჭიროა იტალიისათვის უზრუნველყოფილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღება, ამასთან საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იტალიის მიღებას დღემდე აბრკოლებდა ეგრეთწოდებული „ვეტოს" გამოყენება.

ასეთი განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან საბჭოთა კავშირს არასოდეს არ გაულაშქრია იმის წინააღმდეგ, რომ იტალია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ყოფილიყო მიღებული ყველა იმ სხვა სახელმწიფოსთან თანასწორ საფუძველზე, რომლებსაც ამისი კანონიერი უფლება აქვთ. თუ იტალია დღემდე მიღებული არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, ამაში ბრალი მიუძღვით მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, რომლებმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხში სრულიად მიუღებელი პოზიცია დაიკავეს.

3. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ 1944 წლის მარტში, მანამდე, სანამ ამას სხვა ქვეყნები გააკეთებდნენ, იტალიასთან დაამყარა უშუალო და პირდაპირი ურთიერთობა და გაუცვალა მას დიპლომატიური სტატუსის მქონე წარმომადგენელი.

საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობს რა სურვილით ნახოს იტალია თანასწორუფლებიან სახელმწიფოდ, აცხადებს: საწინააღმდეგო არა აქვს რა, რომ გადაისინჯოს იტალიასთან საზავო ხელშეკრულება, საზავო ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვანი და იტალია მიღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იმ პირობით, რომ ანალოგიურად გადასინჯულ იქნას საზავო ხელშეკრულებანი ბულგარეთთან, უნგრეთთან, ფინეთთან და რუმინეთთან, რომლებიც ომის დროს ისეთსავე მდგომარეობაში იყვნენ, როგორც იტალია, და მიღებულ იქნან ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ერთად ფიქრობს, რომ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვამ რაიმე ზიანი არ უნდა მიაყენოს მშვიდობის დაცვის საქმეს და გამოყენებულ არ უნდა იქნას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აგრესიულ სამხედრო გეგმებში იტალიის ჩასაბმელად. პირიქით, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა უნდა განხორციელდეს მშვიდობის განმტკიცებისა და იტალიისათვის ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით. მაგრამ უეჭველია, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის შემადგენლობაში იტალიის მონაწილეობის ფაქტი ძირეულად ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს და იტალიას აგრესიული ომის გზაზე აყენებს; იტალიის ტერიტორიაზე კი უცხოეთის სამხედრო ბაზებისა და უცხოეთის შეიარაღებული ძალების არსებობა არა თუ არ განამტკიცებს, არამედ, პირიქით, ძირს უთხრის იტალიის თანასწორუფლებიანობასა და დამოუკიდებლობას და მას დამოკიდებულ ქვეყნად აქცევს.

ამის გამო საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობს რა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებით, აცხადებს, რომ იგი შეიძლება დაეთანხმოს იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას და სათანადო შეზღუდვების აღკვეთას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იტალია გამოვა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკიდან და თავის ტერიტორიაზე არ დაუშვებს უცხო სახელმწიფოების სამხედრო ბაზებსა და შეიარაღებულ ძალებს".

ანალოგიური ნოტები ერთდროულად გადაეცა დიდი ბრიტანეთის დროებით საქმეთა რწმუნებულს და საფრანგეთის დროებით საქმეთა რწმუნებულს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის გასაგზავნად.

საბჭოთა რიგის დღესასწაული

რიგა, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს შვიდი წელი შესრულდა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან საბჭოთა ლატვიის დედაქალაქის განთავისუფლებიდან. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ლატვიის კ. პ. (ბ) რიგის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ი. ზიხენევმა განაცხადა:

— განვლილი შვიდი წელი ყველაზე მნიშვნელოვანი წლებია უძველეს ქალაქ რიგის მთელ ისტორიაში. ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ ი. ბ. სტალინის უდიდესი დახმარების, სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური მხარდაჭერის მეოხებით შესაძლებელი გახდა მოკლე ხანში აღმოგვეფხვრა მტრული ოკუპაციის შედეგები, აგვეღორძინებინა და გარდაგვექმნა რიგა.

დღეს რიგა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ინდუსტრიული ცენტრია. ქალაქის მრეწველობის მთავარი დარგების ხვედრითი წონა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ერთიოთხად გაიზარდა. ამდენადვე გაიზარდა მუშათა რიცხვი ქალაქში, ხოლო ერთი მუშის გამომუშავება 260 პროცენტს შეადგენს 1945 წელთან შედარებით.

უდიდესი მუშაობა შესრულდა ლატვიის დედაქალაქის მშრომელთა ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მწყობრში ჩადგა ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი. მეტი წყალი და გაზი ეძლევა მოსახლეობას, გაფართოვდა ტრამვაისა და ავტობუსის ხაზების ქსელი. გაჩნდა ქალაქის ტრანსპორტის ახალი, სრულყოფილი სახე — ტროლეიბუსი.

რიგის სკოლებში, სხვადასხვა სპეციალურ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ასი ათაზე მეტი კაცი სწავლობს. ქალაქში მუშაობს ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემია და მისი 16 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, გახსნილია რვა უმაღლესი სასწავლებელი, შვიდი თეატრი, 10 მუზეუმი, 40 ბიბლიოთეკა.

ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან რიგის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავს მშრომელები ახალ-ახალი საწარმოო წარმატებით ეგებებიან. ქალაქის მრეწველობამ ცხრა თვეში უკვე გამოუშვა იმდენი პროდუქცია, რამდენიც შარშან მთელ წელიწადს. 20-ზე მეტმა საწარმომ ვადამდე შეასრულა წლიური საწარმოო დავალება.

რიგის საწარმოები უდიდესი ალმავლობით ასრულებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს. ვოლგაზე, დონზე, დნეპრზე, ამუდარიაზე იგზავნება ავტომატური სატელეფონო სადგურები, გრეიფერის ამწევები, ზუსტი საზომი ხელსაწყო, ელექტრომოტორები და ბევრი სხვა ნაწარმი.

ქალაქის ასეულ ათასობით მშრომელმა მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. საშინაო საკეთილდღეო თავდადებული შრომით მათ შეაქვთ წვლილი მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის საქმეში.

ცხაკაიას რაიონის სამრეწველო საწარმოები ალმავლობის გზაზე

ჩვენი რაიონის სამრეწველო საწარმოები წარმატებით მუშაობენ. მიმდინარე წლის განვლილი სამი კვარტალის გეგმა მათ შეასრულეს 102,7 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოშვებულია 22,4 პროცენტით მეტი პროდუქცია.

მოპოვებული წარმატება იმის შედეგია, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაში უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა ძირითად საშუალებათა გამოყენება, ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, უკეთ მოეწყო შრომა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, განმტკიცდა საწარმოთა მატერიალური ბაზა. სამრეწველო საწარმოებში ამაღლდა წარმოების რენტაბელობის დონე, გადიდდა სოციალისტური დაგროვება, ფართოდ ინერგება შრომის ახალი, სოციალისტური ფორმები და მეთოდები.

სამრეწველო საწარმოთა შორის განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვს რაიონის სამრეწველო კომბინატს (დირექტორი დ. ჯალაღანია). კომბინატმა 9 თვის გეგმა 125,8 პროცენტით შეასრულა. საგრძნობლად გაიზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, რის შედეგად მიღებულია რამდენიმე ასეული ათასი მანეთი დაგროვება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის სამრეწველო კომბინატის კოლექტივს გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ამ წარმატებებს სამრეწველო კომბინატმა იმით მიაღწია, რომ როგორც დირექცია, ისე პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკის ყველა მხარეს. ათვისებულ იქნა ისეთი სახის პროდუქციის გამოშვება, რომელიც მაღალი რენტაბელობით ხასიათდება და რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. მაგალითად, კომბინატმა აითვისა ოლიფის წარმოება, რასაც აქ იაფი ნედლეულისაგან ამზადებენ. აღსანიშნავია, რომ კომბინატის მიერ გამოშვებული ოლიფა კარგი ხარისხისაა და მალე შრება, რაც მისი გამოყენების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. კომბინატი ამზადებს აგრეთვე სადურგლო წებოს. იგი მზადდება დაუთრიმლავი ნედლი ტყავის ნარჩენებისაგან. აქაური წებოს პრაქტიკულმა გამოცდამ ცხადყო, რომ ის არაფრით ჩამოუვარდება სხვა ნედლეულისაგან დამზადებულ ასეთსავე წებოს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით სამრეწველო კომბინატის საწარმოებსა და ცალკეულ საამქროებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, სისტემატურად ამოწმებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ახალისებენ მოწინავეებს, ნერგავენ შრომის მოწინავე მეთოდებს, სრულყოფენ სამუშაოს ტექნოლოგიურ პროცესს, ამცირებენ საწარმოო ციკლს.

კომბინატის კოლექტივი მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს, მთელი მონდომებით უნდა იმუშაოს უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

რამდენიმე წელია, რაც ცხაკაიას კირის ქარხანა (დირექტორი ნ. ბარამია) საწარმოო გეგმებს წარმატებით ასრულებს. კირის გამოშვების ცხრა თვის გეგმა ქარხანას შესრულებული აქვს 112,7 პროცენტით, ხოლო საშენი ქვისა — 144,3 პროცენტით. ეს წარმატება შრომის სწორი ორგანიზაციის, წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვის, საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა ეფექტიანი გამოყენების შედეგია. აქ დიდ ყურადღებას აქცევენ მუშათა რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებას, მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. საწარმოს დირექცია და პირველადი პარტიული ორგანიზაცია მუდამ ზრუნავენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მასობრივი სააგიტაციო მუშაობის სათანადოდ დაყენებისათვის, შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვისათვის.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პერიოდში აშენებულ ცხაკაიას ხალიჩის საქსოვ ფაბრიკას (დირექტორი მ. ნაროუშვილი) მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს კვალიფიციური კადრების აღზრდაში. შედარებით მოკლე ხნის მანძილზე ქარხანაში აღიზარდნენ მქსოველთა, მღებავთა, მგრეხავთა და სხვა პროფესიის კადრები, რომლებიც უკვე კარგად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს საწარმოო აგრეგატების გაფართოებისათვის. მიუხედავად ამისა, ფაბრიკაში მუშაობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ არის მოწყობილი. ამის შედეგად ფაბრიკის კოლექტივმა მთლიანად ვერ უზრუნველყო გზაკვალას გამოშვების 9 თვის გეგმის შესრულება. ფაბრიკის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მეტი უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, მიაღწიონ გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში სერიოზულ წარმატებებს აღწევენ უშაფათის ჩაის ფაბრიკა, კომუნალური მეურნეობის საწარმოები, სარეწაო არტელები „გაერთიანება", „შრომა" და სხვ.

რაიონის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო დღემდე ვერ ასრულებს გეგმებს, ვერ აღწევს წარმოების რენტაბელობას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

კვლავ ჩამორჩება რაიონის ისეთი დიდი საწარმო, როგორიცაა ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა (დირექტორი არ. კვარჭაია). ქარხანამ ცხრა თვის გეგმის შესრულებას დააკლო 154.300 ცალი წითელი აგური და 407 ათასი ცალი კრამიტი. გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც დაბალია. ქარხანას საკმაო რაოდენობით არა ჰყავს კვალიფიციური მუშახელი და ტექნიკური კადრები. საწარმოს ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავს წარმოებაში მექანიზაციის დანერგვისათვის, საკმაო ყურადღებას არ აქცევს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებას.

საწარმოო გეგმის შესრულებაში ასევე ჩამორჩება სარეწაო არტელი „წითელი მეღითონე" (გამგეობის თავმჯდომარე ვლ. ბალათურია). არტელი ძირითადი ნომენკლატურის საგეგმო ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვების დავალებას ვერ ასრულებს. მოუწესრიგებელია შრომა, ნედლეულითა და დამხმარე მასალებით მომარაგება. არტელში საჭირო ზომებს არ იღებენ ნედლეულის, ელექტროენერგიის, სათბობას მომჭირნეობით ხარჯვისათვის, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ძლიერ ცუდია არტელის ფინანსური მდგომარეობა, დიდია დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, სუსტად არის დაყენებული აღრიცხვა და ანგარიშწარმოება.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ რაიონის თვითეული სამრეწველო საწარმო გადაჭარბებით ასრულებდეს მიცემულ დავალებებს, ზუსტად იცავდეს ასორტიმენტსა და ხარისხს, იბრძოდეს თვითღირებულების შემცირებისათვის. ამისათვის აუცილებელია საწარმოთა ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ღრმად სწვდებოდნენ წარმოების მუშაობის ყოველ საკითხს. მათ უნდა გააძლიერონ მუშაობა შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის. თვითეულმა სამრეწველო საწარმომ ისე უნდა მოაწყოს მუშაობა, რომ იგი უპასუხებდეს იმ დიდ ამოცანებს, რასაც პარტია და ხელისუფლება სახავენ მათ წინაშე.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავი. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მილიონები მონაწილეობენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ დიდ სამშობლოს. უეჭველია, ჩვენი რაიონის მშრომელებიც არ დაზოგავენ თავიანთ ძალასა და ენერგიას, რათა წარმატებით შეხვდნენ დიად დღესასწაულს.

კ. შარტავა
საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი

მტს-ების ელექტროფიკაცია

ქუთაისი. (საკ. კორ.). „საქსოფლელექტროს" ქუთაისის კანტორამ (უფროსი მ. ასათიანი) ვადაზე სამი თვით ადრე დაამთავრა ზესტაფონის, წულუკიძის და თერჯოლის რაიონების მტს-ების ელექტროფიკაცია.

ამჟამად მტს-ებში ყველა დაზგა, სამჭედლო, აგურ-კრამიტის მექანიზებული საზელი, ხის სახერხი და სხვ. ელექტროენერგიით მუშაობს. ამან დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ხარისხი.

აღნიშნული მტს-ების ელექტროფიკაციის საქმეში თავი ისახელეს კანტორის მოწინავე მემონტაჟე-ტექნიკოსებმა პავლე ბუაძემ და სერგო რევიშვილმა.

მეცხოველეობის რაიონულ გამოფენაზე

ქობულეთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ქობულეთის საკოლმეურნეობათაშორისო ჰიპოდრომზე გაიხსნა რაიონული გამოფენა. ყველაზე უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი გამოფენაზე ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. მსხვილფეხა რქიანი ჯიშიანი პირუტყვის მოშენების გარდა კოლმეურნეობამ დიდი წარმატება მოიპოვა მეღორეობაში, აგრეთვე საკუთარი საკვები ბაზის შექმნის საქმეში. წითელი ველის ჯიშის ძროხა „მაიასაგან" 210 დღეში მიღებულია 3.650 ლიტრი რძე, „მახიასაგან" — 3.481 ლიტრი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ერთ-ერთი დედალორი, რომელმაც 3 დაგოჭიანებაზე 40 გოჭი მოიგო, მათ შორის პირველზე — 15 გოჭი.

კოლმეურნეობა დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარი საკვები ბაზის შექმნას. გამოფენაზე წარმოდგენილი გოგრები თვითეული 32-35 კილოგრამს იწონიდა, ხოლო საკვები ჭარხალი 4-5 კილოგრამს.

გამოფენაზე წარმატება ხვდა ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმას. წარმოდგენილი იყო აგრეთვე მეფრინველეობის ფერმები. მთელი რიგი კოლმეურნეობები გამოფენაზე წარდგნენ „ლეგორნის" ჯიშის ქათმებით, კარგი ჯიშის ინდაურებითა და იხვებით.

ახალი ელექტროსადგური

„საქსოფლელექტროს" ქუთაისის კანტორამ სოფელ საკრაულაში (მაიაკოვსკის რაიონი) ააგო ახალი 86-ცხენისძალიანი ელექტროსადგური.

ელექტროენერგია მიიღო 200 კოლმეურნის ოჯახმა. (საკ. კორ.).

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„გააუმჯობესოთ ბინების რემონტის ხარისხი"

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის" 17 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისის სტალინის რაიონში ჭიანურდება ზოგიერთი სახლის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, საკმაო ყურადღება არ ექცევა რემონტის ხარისხს, ბინების მოვლა-პატრონობას და სხვ. როგორც მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა, რომელმაც სუსტი და უუნარო მუშაობისათვის სახლმმართველები თ. ცქიტიშვილი და გ. სისაური მოხსნა თანამდებობიდან. თანამდებობიდან მოხსნილია აგრეთვე სამუშაოთა მწარმოებელი მ. ჩუტკარაშვილი. სახლმმართველ ე. ხატიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

აღმასკომმა დასახა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

გალში სასიგარე თამბაქო მოჰყავთ

ჩვენს ქვეყანაში სასიგარე თამბაქოს მოყვანას მისდევენ ბრიანსკის, იმიერკარპატის და ჩერნიგოვის ოლქების კოლმეურნეობები, მაგრამ სიგარის შესახვევ მასალად ვარგა მხოლოდ ქართული სასიგარე თამბაქო, რომელიც გალის რაიონის კოლმეურნეობებს მოჰყავთ.

თამბაქოს კულტურას რაიონში 300 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. აქედან სასიგარე თამბაქოს — 100 ჰექტარი. გალის თამბაქოს ფოთოლი თხელი, რბილი, სურნელოვანია, ამასთან ნელა იწვის. ამიტომ მას იყენებენ მაღალი ხარისხის სიგარის გამოსაშვებად.

გალელმა მეთამბაქოეებმა წელს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით და ორგზის სოციალისტური შრომის გმირის პ. სვანიძის გამოცდილების დანერგვით სასიგარე თამბაქოს მაღალი მოსავალი მოიყვანეს. მთავრდება მეორე მოსავლის აღება და მასობრივად მიმდინარეობს ხარისხოვანი თამბაქოს ჩაბარება.

სასიგარე თამბაქოს განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანეს ოქუმელმა კოლმეურნეებმა. მათ ეს კულტურა საგანგებოდ შერჩეულ 15 ჰექტარ ფართობზე გააშენეს, ჩითილის რგვა ვადაზე 15 დღით ადრე დაამთავრეს, საუკეთესოდ მოუარეს პლანტაციებს და მოსავალი აიღეს უდანაკარგოდ. ახლა სპეციალურად გაშენებულ ფარდულში გაშრობილია 7 ტონა ხარისხოვანი თამბაქო, რომელსაც მალე გადაგზავნიან საფერმენტაციო ქარხანაში.

წელს ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 15 ჰექტარზე გააშენეს სასიგარე თამბაქო და ჰექტარზე მიიღეს 3,5 ცენტნერით მეტი მოსავალი, ვიდრე შარშან. ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე მ. ჩოლბაია) და პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ხ. ძანძავა) მეთამბაქოეთა შორის ფართოდ ნერგავენ სახელოვანი მეთამბაქოეს პ. სვანიძის გამოცდილებას. მოსავლის აღებისა და აღრიცხვის მისი მეთოდი ყველა ბრიგადაშია გამოყენებული. მეთამბაქოეები დაეუფლნენ სასიგარე თამბაქოს მოყვანის აგროტექნიკას.

ჭუბურხინჯელებმა ისეთივე აგროტექნიკური ღონისძიებანი განახორციელეს, რასაც სამსუნის ჯიშის თამბაქო მოითხოვს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჰექტარზე დარგეს 35-40 ათასი ძირი მცენარე. აღებისას, ფოთოლი რომ არ დაზიანებულიყო, გამოიყენეს სპეციალურად დაწნული კალათები, რომელთა შიგნითა ნაწილს ქსოვილი გადააფარეს. ფოთოლი ანუმსეს ყუნწის სიგანით და არა პირდაპირ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, გააშრეს სპეციალურ ფარდულში.

კოლმეურნე ლ. ძანძავამ მოსავლიანად მიჩნეულ მეოთხედ ჰექტარზე ხარისხოვანი სასიგარე თამბაქოს აღების გეგმა შეასრულა 150 პროცენტით, ხოლო მეთამბაქოე სტახანოველებმა შურა ყოლბაიამ, ოლღა ქირიამ, თამარ და ესმა ძანძავებმა — ორას-ორასი პროცენტით.

სასიგარე თამბაქოს წარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკების თანამეგობრობამ კოლმეურნეებთან ხელი შეუწყო ახალი წარმატების მოპოვებას. გალელ მეთამბაქოეებსა და ბრიანსკის ოლქის ქალაქ პოგარის სიგარის კომბინატის და თამბაქოსა და წეკოს სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალების მუშაკებს შორის საქმიანი მიწერ-მოწერაა. ამ დღეებში რაიონში ჩამოვიდა სპეციალისტების ჯგუფი, რომელმაც სათანადო დახმარება გაუწია კოლმეურნეებს სასიგარე თამბაქოს აღებისა და დამუშავების აგროღონისძიების განხორციელებაში. ამ ჯგუფში შედიან თამბაქოსა და წეკოს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სტაროდუბის სიგარის თამბაქოს საცდელ-საველე სადგურის მეცნიერი მუშაკი მიხეილ ტარაკანოვი, პოგარის სიგარის კომბინატის მთავარი მეთამბაქოე იაკობ ბროკი და ამავე კომბინატის სიგარის წარმოების გამგე ივანე ალექსეევი.

სპეციალისტებმა დაათვალიერეს სიგარის თამბაქოს პლანტაციები, ფარდულები, შეამოწმეს ნედლეულის ხარისხი და მეთამბაქოეებს ესაუბრნენ სასიგარე თამბაქოს მოყვანის აგროტექნიკასა და მის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობაზე. მათ მაღალი შეფასება მისცეს სოფელ ოქუმის ლენინის, ჭუბურხინჯის სტალინის, საბერიოს ორჯონიკიძის, აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობათა და ოტობაიის კოლმეურნეობა „მშრომელი გლეხის" მეთამბაქოეთა შრომას ხარისხოვანი სასიგარე თამბაქოს მოყვანის საქმეში.

გალელ კოლმეურნეებს მდიდარი გამოცდილება აქვთ სასიგარე თამბაქოს მოყვანის საქმეში. რაიონში ამ კულტურას 1934 წლიდან მისდევენ. პირველ წელს იგი საცდელი მიზნით 5 ჰექტარზე გააშენეს სოფელ აჩიგვარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში, შემდგომ წლებში სხვა კოლმეურნეობებშიც კარგად გაიხარა და მიღებულ იქნა ხარისხოვანი შესახვევი მასალა. სასიგარე თამბაქოს ფართობი რაიონში ყოველწლიურად იზრდება. წელს იგი 100 ჰექტარზეა გაშენებული. უფრო მეტი შესაძლებლობაა მისი შემდგომი განვითარებისათვის. საჭიროა საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრო და „საქთამბაქონედლეულის" ტრესტი დაინტერესდნენ ამ საქმით.

ს. შონია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

პოლიტსკოლაში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკის შესახებ*

გასაუბრების დროს უნდა ვცდილობდეთ მივაღწიოთ მსმენელთა მაღალ აქტივობას. თუ პროპაგანდისტი იცნობს ყოველ მსმენელს, იცის, როგორ იქცევა იგი სამუშაოზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იცნობს მის ინტერესებს, იცის, რა საკითხებს უფრო არის გაცნობილი, მაშინ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უსათუოდ გამოინახება საბაბი იმისათვის, რომ დავაინტერესოთ მსმენელი, გამოვიწვიოთ იგი სასაუბროდ. ამისათვის კი საჭიროა გულმოდგინედ ვეძებოთ და გამოვნახოთ სწორი მიდგომა მსმენელებისადმი, დავძლიოთ ზოგიერთი მათგანის მორცხვობა, მივაჩვიოთ კოლექტივის წინაშე გამოსვლას.

კონკრეტული ფაქტების, ცალკეული დებულებების უნარიანად გამოყენებით პროპაგანდისტი ისე წარმართავს გასაუბრებას, რომ მსმენელებმა შეითვისონ და გონებაში განიმტკიცონ თემის უმნიშვნელოვანესი იდეები. ყოველი ასეთი გასაუბრება კომუნისტების იდეური ზრდის საფეხური უნდა იყოს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პოლიტსკოლაში მიღებულ თეორიულ ცოდნას მსმენელი მტკიცედ უკავშირებდეს ცხოვრებას, პრაქტიკულ მუშაობას.

გასაუბრების დროს პროპაგანდისტმა სწორად უნდა გაითვალისწინოს დრო განსახილველი საკითხების მნიშვნელობისა და სიძნელის მიხედვით. ეს შესაძლებლობას მისცემს თავიდან აიცილოს ნაკლოვანება, რაც ხშირად აქვთ დამწყებ პროპაგანდისტებს და რაც იმით გამოიხატება, რომ გასაუბრებისას მეორეხარისხოვან საკითხებს ძლიერ ბევრ დროს ანდომებენ, ხოლო მეცადინეობის თემის უმნიშვნელოვანესი საკითხების გამორკვევისა და განსაკუთრებით გასაუბრების შეჯამებისათვის ნაკლები დრო რჩებათ.

გასაუბრების დროს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტსკოლის ხელმძღვანელის დასკვნით სიტყვას. საუბრის დასასრულს პროპაგანდისტმა ერთხელ კიდევ უნდა მიაპყროს მსმენელთა ყურადღება გარჩეული თემის ყველაზე მნიშვნელოვან იდეებს, აღნიშნოს, რა შეითვისეს კარგად მსმენელებმა და რა საკითხები მოითხოვენ დაზუსტებას და დამატებითს მუშაობას.

მსმენელთა ცოდნის შეფასების დროს უადგილოა ფორმალურ-სკოლარული მიდგომა. სწორი შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უწინარეს ყოვლისა იმის გათვალისწინებას, თუ რამდენად ისწავლეს მსმენელებმა დამოუკიდებლად გარკვევა თეორიულ საკითხებში. პროპაგანდისტები არ უნდა დაკმაყოფილდნენ ლაკონიური შეფასებით „შეითვისა", „ვერ შეითვისა", არამედ განუმარტონ მსმენელებს, განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი შეფასების დროს, სახელდობრ რა ვერ შეითვისეს და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საფუძვლიანად გაერკვნენ თემაში.

კოლექტიური მუშაობის პროცესში ცოდნის შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ მსმენელთა ზრდა, იგი წინ სწევს ჩამორჩენილებს, განამტკიცებს კოლექტივში დისციპლინას. პროპაგანდისტმა მსმენელებს უნდა წაუყენოს მკაცრი და გარკვეული მოთხოვნები, მაგრამ, თუ საჭიროება არ მოითხოვს, არ უნდა „დატუქსოს" მსმენელები, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეასრულეს დავალება. პროპაგანდისტმა უნდა გამოარკვიოს, რამ შეუშალა მათ ხელი საშინაო დავალების შესრულებაში, ხოლო, რაც მთავარია, დაეხმაროს მის შესრულებაში. ასეთ მსმენელებთან შესაძლებელია საჭირო გახდეს მეცადინეობას რამდენჯერმე ჩატარება ცალკე ინდივიდუალური წესით.

წარმატებითი სწავლის მეტად მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს წარსულ მეცადინეობებზე განვლილი მასალის მუდმივი და სისტემატური გამეორება.

დიდი რუსი პედაგოგი უშინსკი მასწავლებელს, რომელიც არ ზრუნავს მასალის მუდმივ გამეორებაზე, ადარებდა უხეირო მეურმეს, რომელიც მოსახვევებში ყურადღებას არ აქცევს ურემზე დადებულ ტვირთს. ასეთი მეურმე დანიშნულ ადგილას რომ მივა, ურემს ცარიელს მიიტანს: მთელ ტვირთს გზადაგზა დაჰკარგავს. დაახლოებით ასევე იქცევა უზრუნველი მასწავლებელი, რომლის მოსწავლე განვლილ მასალას არ იმეორებს და წლის დამლევს უცოდინარი რჩება. უშინსკის რჩევა განუწყვეტელი გამეორების შესახებ ყველა პროპაგანდისტმა უნდა შეითვისოს. როგორ სჯობს გამეორების მოწყობა?

ზოგიერთი პროპაგანდისტი ასე იქცევა. მაგალითად, ასწავლის მეშვიდე თემას — „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო" — და ამავე დროს მსმენელებს აძლევს დავალებას გაიმეორონ პირველი თემა — „როგორ ცხოვრობდნენ და თავიანთი განთავისუფლებისათვის როგორ იბრძოდნენ მუშები და გლეხები მეფის რუსეთში". ამ თემებს შორის უშუალო კავშირი არ არის, და გამეორების ასეთი მექანიკური ხერხი საჭირო შედეგს არ იძლევა.

სულ სხვა საქმეა, როდესაც პროპაგანდისტი გასამეორებლად იყენებს განვლილ მასალას, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია შესასწავლ თემასთან. მაგალითად, სწავლობენ თემის — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის" ნაწილს. გასაუბრებისათვის მოსამზადებლად პროპაგანდისტი მსმენელებს ურჩევს არა მარტო შეისწავლონ ახალი მასალა, არამედ გაიმეორონ თავები ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ, აქტიური თავდაცვისათვის ქვეყნის მოსამზადებლად პარტიის მუშაობის შესახებ. მაშინ ორივე თემაზე მსმენელთა ცოდნა უფრო საფუძვლიანი იქნება.

ან ვთქვათ, სწავლობენ საკითხს საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი წყობის შესახებ. მსმენელებმა უფრო სრულად რომ შეითვისონ საკითხი, თუ პრინციპულად რით განსხვავდებიან საბჭოთა მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მეფის რუსეთის პროლეტარიატის, გლეხობისა და ინტელიგენციისაგან, მიზანშეწონილია მსმენელებს გასამეორებლად მივცეთ პირველი თემიდან თავი „მუშათა და გლეხთა მდგომარეობა მეფის რუსეთში".

გამეორების ამ ხერხს გარდა, სპეციალური მეცადინეობა უნდა დაეთმოს განმეორებითს გასაუბრებას პროგრამის რამდენიმე თემაზე.

პოლიტსკოლაში მეცადინეობა მუდამ უნდა უკავშირდებოდეს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს. პროპაგანდისტი ამას ისე უნდა აკეთებდეს, რომ არ გადაუხვიოს პროგრამას, გარკვეულ საკითხებზე მეცადინეობა არ გადააქციოს საობრად მიმდინარე მომენტის შესახებ. ლაპარაკია იმაზე, რომ დავიცვათ სწორი პროპორცია მიმდინარე პოლიტიკის მასალების გამოყენების საქმეში.

* * *

ცნობილია, რომ პოლიტსკოლებში მეცადინეობის იდეური დონე დამოკიდებულია არა მარტო პროპაგანდისტების თეორიულ მომზადებაზე, არამედ მნიშვნელოვანწილად მათ მეთოდურ დახელოვნებაზეც.

იმისათვის, რომ მსმენელებს მივაწოდოთ მასალა მკაფიო, გასაგები ფორმით, გავუადვილოთ მისი შეთვისება, დიდი მნიშვნელობა აქვს მეცადინეობაზე თვალსაჩინოების, მხატვრული ლიტერატურისა და ადგილობრივი მასალის უნარიანად გამოყენებას. გასაგებია, რომ ყველა ამ საშუალებას აქვს დაქვემდებარებული, დამხმარე როლი. მათი გამოყენების მიზანია დავეხმაროთ მსმენელებს უფრო ღრმად შეითვისონ პოლიტსკოლის კურსის იდეური შინაარსი.

პოლიტსკოლების მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა თვალსაჩინო სახელმძღვანელოების სწორ და სისტემატურ გამოყენებას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეცადინეობაზე ფართოდ გამოვიყენოთ მხატვრულ-დოკუმენტალური ალბომი „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი", რომელიც მომზადებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ და რომელიც გამოცემულია ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის; საჭიროა აგრეთვე გამოვიყენოთ პოლიტსკოლებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ალბომები, აგრეთვე ალბომები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიისა და სსრ კავშირის ისტორიის შესახებ, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესახებ, სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ. პროპაგანდისტმა უწინარეს ყოვლისა საჭიროა სისტემატურად გამოიყენოს პოლიტსკოლებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ალბომი.

თვალსაჩინო სახელმძღვანელოები საჭიროა ყოველ მეცადინეობაზე, მაგრამ არ შეიძლება ამ სახელმძღვანელოებით მსმენელთა ზედმეტად დატვირთვა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთი საუბრის დროს შეიძლება გარჩეულ იქნას სულ ბევრი ორი-სამი ცხრილი, რეპროდუქცია ან დიაგრამა.

პოლიტსკოლებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ალბომში, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესახებ, სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესახებ თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ალბომებში და სხვებში ბევრი ძვირფასი მასალაა პოლიტსკოლებისათვის.

მეცადინეობაზე დიდი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ფერწერის საუკეთესო რევოლუციამდელი და საბჭოთა ოსტატების სურათები.

ყოველ მეცადინეობაზე აუცილებელი თვალსაჩინო სახელმძღვანელო უნდა იყოს სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს პოლიტიკური რუკები — მეცადინეობის თემის მიხედვით. პროპაგანდისტებისათვის გამოცემულია სსრ კავშირის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკა, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და ევროპის პოლიტიკური რუკა. მიზანშეწონილია გამოვიყენოთ აგრეთვე ისტორიული რუკები, რომლებიც სპეციალურად არის შეფერადებული და აქვთ სხვადასხვა ისტორიული ამბების ამსახველი დამატებითი აღნიშვნები. პროპაგანდისტი მსმენელებს ეხმარება ამ რუკებით სარგებლობაში.

კარგია მეცადინეობაზე გვქონდეს საკლასო დაფა და ცარცი. გამოცდილი პროპაგანდისტები ყოველთვის იყენებენ მათ. თუ შეხვდებათ ძნელი, მსმენელებისათვის უცნობი სიტყვა — მას სწერენ დაფაზე და ურთავენ მოკლე განმარტებას. ზოგიერთი პროპაგანდისტი საუბრის გეგმას წერს დაფაზე. ეს მსმენელებს ეხმარება თვალი ადევნონ საუბრის მიმდინარეობას.

ცნობილია, რა დიდ გავლენას ახდენენ მაყურებელზე კინოფილმები. როგორ გამოვიყენოთ ისინი პოლიტსკოლის მუშაობაში? პროპაგანდისტები არსებულ შესაძლებლობათა შესაბამისად აწყობენ საბჭოთა კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების კოლექტიურ ნახვას (რასაკვირველია, არა სასწავლო დროის ხარჯზე), რომლებიც სწორად ასახავენ ისტორიულ წარსულს ან თანამედროვეობას. ასეთი ფილმებია, მაგალითად: „ფიცი", „ლენინი ოქტომბერში", „ლენინი 1918 წელს", „ჩაპაევი", „დიდი მოქალაქე", „დიადი გარდატეხა", „სტალინგრადის ბრძოლა", „ახალგაზრდა გვარდია", „მესამე დარტყმა", „ბერლინის დაცემა"; დოკუმენტალური ფილმები: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი", „ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების საგანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობაზე 1936 წლის 25 ნოემბერს".

კურსის ყველა ძირითადი თემა შეიძლება ილუსტრირებულ იქნას კინოფილმებით. როცა პროპაგანდისტი მსმენელებს უამბობს კინოფილმზე, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ იდეებს, რომლებსაც ეს ფილმი შეიცავს. ეს მსმენელებს დაეხმარება უფრო ღრმად ჩასწვდნენ თემას და შემდეგში ხელოვნების ყველა ნაწარმოებს მიუდგნენ უწინარეს ყოვლისა იდეური მხრივ.

მნიშვნელოვან თვალსაჩინო სახელმძღვანელოს წარმოადგენენ დიაპოზიტივები. პოლიტსკოლების კურსის თემების უმრავლესობა შეიძლება ილუსტრირებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის გამოშვებული დიაპოზიტივებით. დიაპოზიტივების ყოველ განაკვეთს დართული აქვს სიუჟეტური ფურცელი თვითეული სურათის განმარტებით. არ ვარგა ერთბაშად ძა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 241.

მშვიდობისათვის მებრძოლთა გერმანიის კომიტეტის მოწოდება გერმანიის მოსახლეობისადმი

ბერლინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გადასცა მშვიდობისათვის მებრძოლთა გერმანიის კომიტეტის მოწოდება გერმანიის მოსახლეობისადმი.

„გერმანელებო — აღმოსავლეთელო და დასავლეთელო თანამემამულენო! — ნათქვამია მოწოდებაში.—ჩვენი გამოცდილება ორ მსოფლიო ომში და კორეის გამოცდილება ამტკიცებს, რომ ჩვენს ხანაში იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც მთელ ხალხებს ეხება, შეუძლებელია ძალადობისა და ომის პოლიტიკის გზით. ამ საკითხების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკების გზით.

ვაშინგტონში დასახულ შეიარაღების პოლიტიკას, რომლის განხორციელებასაც ადენაუერი ცდილობს, ომისაკენ მივყავართ. ეს არავისათვის საეჭვო არ უნდა იყოს. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი ომი მთელი სიმძიმით დაატყდებოდა თავს უწინარეს ყოვლისა ჩვენს სამშობლოს და, პირველ რიგში, დასავლეთ გერმანიას.

საქმე ეხება ჩვენს ბედს. ამჟამად არ უნდა იყოს არც ერთი გერმანელი, რომელიც თავისი პოზიციით შეუწყობს ხელს მესამე მსოფლიო ომში ჩვენი სამშობლოს ჩაბმას და ამით მის დაღუპვას.

ამ უდიდესი საფრთხის გამო მშვიდობისათვის მებრძოლთა გერმანიის კომიტეტი მიესალმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დაძლეულ იქნას უთანხმოება გერმანიაში და სრულიად გერმანიის თათბირის მოწყობით გამოინახოს გზა, რომელსაც მოჰყვება ურთიერთგაგება გერმანიის ერთიანობის ყველა საკითხზე და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

ამიტომ მშვიდობისათვის მებრძოლთა გერმანიის კომიტეტი მოუწოდებს მთელ გერმანელ ხალხს და განსაკუთრებით ბონის ფედერალური პარლამენტის დეპუტატებს, ლანდტაგებისა და სათემო წარმომადგენლობათა დეპუტატებს, ფედერალური რესპუბლიკის პოლიტიკურად შეგნებულ ყველა მამაკაცსა და ქალს — დათანხმდნენ სრულიად გერმანიის თათბირის მოწყობის შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წინადადებაზე.

არ დაუშვათ, რომ აღმოსავლეთის ეს მოწოდება უგულებელყოფილ იქნას. გერმანიის გათიშვის დაძლევა მშვიდობის პაქტის დადების შესახებ ხუთი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკების არსებითი წანამძღვარია, მშვიდობის პაქტისა, რომელიც უზრუნველყოფდა ევროპის უშიშროებას და მშვიდობას მთელ მსოფლიოში. მთელი მსოფლიო მოითხოვს ამ პაქტის დადებას.

გერმანიის წვლილი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ნათლად გამოთქვას, რომ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგია და ისწრაფვის რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება. ამიტომ გააძლიერეთ ხალხის გამოკითხვა დასავლეთ გერმანიის ყველა ქალაქსა და სოფელში.

მშვიდობა გერმანიაში, მშვიდობა ევროპაში, მშვიდობა მთელ მსოფლიოში! ეს უნდა იყოს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ყველა გერმანელის საერთო მიზანი.

მშვიდობისათვის მებრძოლთა გერმანიის კომიტეტის თავმჯდომარე ვალტერ ფრიდრიხი".

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს უარი — განიხილოს კომპარტიის 11 ლიდერის სახელით შეტანილი აპელაცია, იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს განზრახული აქვთ დაიჩქარონ ამერიკის შეერთებული შტატების ფაშიზაცია.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტი უდიდესი აღშფოთებით გმობს შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს უარს — დააკმაყოფილოს თხოვნა აზრისადმი კონტროლის სმიტის კანონის საფუძველზე მსჯავრდადებული კომუნისტი ლიდერების საქმის გადასინჯვის შესახებ. ამრიგად, უმაღლესმა სასამართლომ ცხადყო, რომ მას წილი უდევს სამარცხვინო სასამართლო ინსცენირებაში, რომელიც მიმართულია უფლებათა ბილის წინააღმდეგ. უმაღლესი სასამართლო — ნათქვამია განცხადებაში — ქედმაღლურად არ უწევს ანგარიშს მილიონობით ამერიკელის სერიოზულ და მზარდ შეშფოთებას იმის გამო, თუ რა ბედი ეწევა უფლებათა ბილს და ამ ბილით გარანტირებულ დემოკრატიულ პროცესებს. სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში უარყოფს მრავალი პროგრესული და ლიბერალური ელემენტის მტკიცე მოწოდებას უმაღლესი სასამართლოსადმი — გადასინჯოს სმიტის კანონი ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. იგი თვითნებურად უარყოფს ბრალდებულთა პეტიციას, რომელშიც ნათქვამია, რომ სამართლიანი გასამართლება არ იყო უზრუნველყოფილი, რომ უპატიოსნო იყო ნაფიც მსაჯულთა სისტემა, გამოიყენეს ჯაშუშთა ჩვენება, სპეციალურად შეარჩიეს ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლე ხელმძღვანელობდა წინასწარ შედგენილი აზრით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ უმაღლესი სასამართლო ამჟამად უარყოფს განცხადებებს, რომლებიც „მოქალაქეობრივ თავისუფლებათა ამერიკულმა კავშირმა" და სენ-ლუისის გაზეთ „პოსტ დისპეტჩის" ადვოკატებმა წარადგინეს სმიტის კანონის არაკონსტიტუციურობის თაობაზე.

უმაღლესი სასამართლო, ნათქვამია განცხადებაში, „უარყოფს მიმართვას, რაც გასულ კვირაში თვით ბრალდებულებმა შეადგინეს და რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ უმაღლესი სასამართლოს 4 ივნისის გადაწყვეტილებას მოჰყვა ტერორის გაძლიერება, მასობრივი დაპატიმრება, საწინდრით განთავისუფლების უფლების წართმევა ან მეტისმეტად დიდი საწინდრის დაწესება, დამცველის აყვანასთან დაკავშირებული სიძნელეები, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო პოლიცია) მეთვალყურეობა ყველა სახლისა და დაწესებულებისადმი, აგრეთვე 12 ათასი ამერიკელის დაპატიმრების საფრთხე. სმიტის კანონი აზრისადმი კონტროლის შესახებ, რომელიც ახლა უკვე ორჯერ დაადასტურა უმაღლესმა სასამართლომ, ქმნის კიდევ უფრო ფართო ტერორის გაშლების საფრთხეს, თუ ეს ტერორი არ შეაჩერა ამერიკელმა ხალხმა".

პოლიტიკური საკითხები, ნათქვამია განცხადებაში, არ შეიძლება გადაწყდეს სასამართლოებში და „არ შეიძლება აიკრძალოს პოლიტიკური პარტიები. საპყრობილეში მოთავსებული კომუნისტი ლიდერების საქმე არ დამთავრებულა და არც დამთავრდება მანამდე, სანამ მათ არ გაათავისუფლებენ... უკანასკნელი სასამართლო ინსტანცია ამერიკელი ხალხია. მას შეუძლია გააუქმოს სმიტის კანონი ისევე, როგორც წინათ ბევრი სხვა კანონი გაუუქმებია. ეს გადაწყვეტილება იმას მოწმობს, რომ უოლ-სტრიტი მზად არის სწრაფად იაროს იმ გზით, რომელსაც სისხლისმღვრელი ომისა და ულმობელი ფაშიზმისაკენ მივყავართ. ეს უაღრესად სერიოზული შეშფოთების საფუძველია. ეს შეშფოთების სიგნალი უნდა იყოს და აიძულოს მუშათა მოძრაობის ყველა მონაწილე, ზანგი ხალხი, კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლები გაერთიანონ ახალი და ენერგიული ცდებით და მიაღწიონ სმიტის კანონის გაუქმებას". განცხადება მოუწოდებს ღონისძიებათა გაერთიანებისაკენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მზარდი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სმიტის კანონის საფუძველზე მასობრივი დაპატიმრების შეჩერებისათვის.

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობისათვის

ინგლისის იმპერიალიზმის გეგმები

ლონდონი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). 9 ოქტომბერს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილებაზე ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ნაჰას-ფაშის გამოსვლის შესახებ. ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა მოახდინოს ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულებისა და სუდანის შესახებ 1899 წლის კონვენციების დენონსაცია. სამინისტროს განცხადებიდან ჩანს, რომ ინგლისის მთავრობა კვლავ უარს ამბობს დააკმაყოფილოს ეგვიპტის მოთხოვნა ინგლისის ჯარების გაყვანისა და ეგვიპტესთან სუდანის გაერთიანების შესახებ. იგი აგრეთვე თანახმა არ არის გაუქმებულ იქნას 1936 წლის ხელშეკრულება, რომელიც ბღალავს ეგვიპტის ეროვნულ დამოუკიდებლობას, „სანამ ეგვიპტესთან არ დაიდება დამაკმაყოფილებელი შეთანხმება ინგლისის ახალ წინადადებათა საფუძველზე".

ინგლისის იმპერიალიზმის შემდგომი გეგმები ეგვიპტეში მჟღავნდება ინგლისური გაზეთების გამოსვლებით. მაგალითად, „ტაიმსი" წერს, რომ ინგლისის ახალ წინადადებათა საფუძვლები შექმნილია ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" ჩამოყალიბების შესახებ შეთანხმებით, რომელიც ამას წინათ მიღწეულ იქნა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიაზე ოტავაში.

ინგლისური პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ ბუნდოვანი ტერმინით „შუა აღმოსავლეთის სარდლობა" ფაქტიურად იფარება შუა აღმოსავლეთში აგრესიული სამხედრო ბლოკის შექმნის გეგმები. რეიტერის სააგენტოს ცნობის თანახმად, 9 ოქტომბერს ინგლისის ელჩმა კაიროში სტივენსონმა ეგვიპტის მეფე ფარუქს წარუდგინა წინადადებანი, რომელთა შესაბამისად ეგვიპტე უნდა გახდეს წევრი „შუა აღმოსავლეთის სარდლობისა", რასაც ინგლისელები და ამერიკელები ქმნიან.

— თუ ეგვიპტემ მონაწილეობა მიიღო „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" ამ სისტემაში, — წერს „ტაიმსი", — მაშინ ინგლისის შეიარაღებული ძალების ნაწილები შეიძლება დარჩნენ სუეცის არხის ზონაში „როგორც საერთაშორისო არმიის კონტინგენტები". გარდა ინგლისის ჯარებისა, წერს „ნიუს ქრონიკლი", ამ შემთხვევაში სუეცის არხის ზონაში განზრახულია დაბანაკებულ იქნან თურქეთისა და ამერიკის ჯარები, აგრეთვე როგორც საერთაშორისო არმიის კონტინგენტები.

ერაყის პოლიტიკური წრეები მოითხოვენ ინგლის-ერაყის ხელშეკრულების დენონსაციას

ბეირუთი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). კაიროს რადიოს ცნობით, ერაყის „ალ-ისტიკლიალის" პარტიის თავმჯდომარემ მუჰამედ კუბამ, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა ქამილ ალ-ჩადარჩიმ და „ერთიანი სახალხო ფრონტის" პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა რიზა აშ-შიბიბიმ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრს ნაჰას-ფაშას მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ეგვიპტის მიერ ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების დენონსაციის გამო.

დეპეშებში გამოთქმულია სრული მხარდაჭერა ეგვიპტის მიმართ. ერთ-ერთ დეპეშაში ნათქვამია: „პარტიები „ერთიანი სახალხო ფრონტი" და „ალ-ისტიკლიალი" მხარს უჭერენ ეგვიპტის მოქმედებას, რომელმაც მოახდინა ინგლისთან ხელშეკრულების დენონსაცია, და მოითხოვენ, რათა ერაყი შეუდგეს თავის ქვეყანაში ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციას და ინგლის-ერაყის ხელშეკრულების დენონსაციას ეგვიპტის მაგალითისამებრ".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ცნობა

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 11 ოქტომბრისათვის, გადატანილია 15 ოქტომბრისათვის.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ ინგლისელ-ამერიკელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების გააფთრებული იერიშების მოგერიებას და დიდ ზარალს აყენებენ მათ.

ცენტრალურ ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს ამერიკის 1-ლი მოტომექანიზებული დივიზიისა და მე-3 ქვეითი დივიზიის იერიშები, რომლებმაც 70 ტანკის, არტილერიისა და ავიაციის საფარით სცადეს გაერღვიათ სახალხო არმიის თავდაცვის ხაზები იონჩხონის რაიონში და ჩხოლვონის სამხრეთით.

აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ იანგუს ჩრდილოეთით.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 9 თვითმფრინავი, რომლებიც კვლავ ბარბაროსულად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ ფხენიანის, ვონსანის, სარივონის, სოხინის, სუანისა და სინანჯუს მშვიდობიან მოსახლეობას.

კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გამო

პეკინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კესონელი კორესპონდენტი იუწყება:

ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრები შეხვდნენ ერთმანეთს 11 ოქტომბერს დილის 10 საათზე პანმინჯონში იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც შეეხება ორ დელეგაციას შორის მოლაპარაკების განახლებას. კორეა-ჩინეთის დელეგაციისაგან შეხვედრას დაესწრნენ მეკავშირე ოფიცრები პოლკოვნიკი ჩან ჩუნ სანი, პოდპოლკოვნიკი ცაი ჩენ-ვენი და პოლკოვნიკი ლი ფხენ ირი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციისაგან — მეკავშირე ოფიცრები პოლკოვნიკი მერეი, პოდპოლკოვნიკი ედვარდსი და პოდპოლკოვნიკი ლი სუ იანგი.

განხილვის დროს, რაც წარმოებდა მანამდე, სანამ 12 საათსა და 08 წუთზე მოეწყო შესვენება, ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრებმა ძირითადად მიაღწიეს შეთანხმებას თათბირის კონკრეტული ადგილის, მოლაპარაკების ადგილის ერთობლივი და პასუხსაგები დაცვის კონკრეტულ ღონისძიებათა საკითხებზე, აგრეთვე მოწყობილობის, მომსახურების საშუალებათა და სხვა იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება მოლაპარაკების ადგილს, აგრეთვე ორივე მხარის დელეგაციის საჭირო დროებით ღონისძიებებს, როცა ისინი განაახლებენ თავიანთ სხდომებს.

ამიტომ შეხვედრისას, რომელიც განახლდა 15 საათსა და 00 წუთზე, ჩვენმა მეკავშირე ოფიცრებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადება, რომ ორივე მხარის დელეგაციებმა განაახლონ მოლაპარაკება 12 ოქტომბერს 13 საათსა და 00 წუთზე. მაგრამ მეორე მხარის მეკავშირე ოფიცრები კვლავ მოითხოვდნენ ნეიტრალური ზონის სიდიდის საკითხისა და სხვა საკითხების განხილვას და უარყვეს ჩვენი წინადადება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ განახლდეს ორივე მხარის დელეგაციების მოლაპარაკება 12 ოქტომბერს 13 საათსა და 00 წუთზე. ამის შემდეგ ჩვენმა მეკავშირე ოფიცრებმა კვლავ მოითხოვეს, რათა მეორე მხარემ შეისწავლოს ჩვენი სარდლების 9 ოქტომბრის მიმართვა მეორე მხარის სარდლისადმი, და შეიტანეს წინადადება განახლდეს ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრების შეხვედრა 12 ოქტომბერს დილის 10 საათზე.

მეკავშირე ოფიცრების შეხვედრა, რაც ნაშუადღევს მოხდა, დამთავრდა 16 საათსა და 10 წუთზე.

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

ბუქარესტი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის პირველი დღეები რუმინეთის ქალაქებსა და სოფლებში მასობრივი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობით აღინიშნა. რუმინელი და საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის აღსანიშნავად შრომის ვახტზე დადგნენ ბუქარესტის საწარმოთა კოლექტივები, რეშიცისა და ხუნედოარის მეტალურგები, ქალაქ სტალინის ტრაქტორმშენებლები, პრახოვის ოლქის ნავთის მრეწველობის მუშები და რუმინეთის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები. მეტწილ საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს ვალდებულება ვადაზე 30-40 დღით ადრე შეასრულონ წლიური პროგრამა. ათიათასობით მუშა ჩაება შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის აღსანიშნავად და იბრძვის, რათა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს ერთი წლისა და წლანახევრის ნორმები.

მშრომელთა შორის დიდ ორგანიზაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა სსრ კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოება, რომელსაც ჰყავს 20 ათას წრეში გაერთიანებული 4 მილიონი წევრი. ამ საზოგადოების წევრები აწყობენ საუბრებს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ, იმ დახმარების შესახებ, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს რუმინელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში.

ნორვეგიის მარშალიზაციის შედეგები

ოსლო, 11 ოქტომბერი (საკდესი). მასობრივ ხასიათს იღებს ნორვეგიის მთელი რიგი საწარმოების დახურვა, რომლებიც ნორვეგიის საშინაო ბაზარს უწევენ მომსახურებას. საწარმოთა საწყობები სავსეა მზა პროდუქციით, რომელიც არ საღდება ფასების უაღრესად გადიდებისა და იმის გამო, რომ ბაზარი უცხოეთის საქონლითაა სავსე.

პრესა კვლავ აქვეყნებს სულ ახალ-ახალ ფაქტებს, რომ საწარმოები იძულებული არიან ან სრულიად შეწყვიტონ მუშაობა ან მკვეთრად შეამცირონ წარმოება. ჩრდილოეთ ნორვეგიის საფეიქრო ფაბრიკებიდან დაითხოვეს მრავალი მუშა, მათ შორის კონცერნ „ნურლანს ფორენედე ულვარეფაბრიკერის" ბევრი მუშა. ნორვეგიის სატელეგრაფო ბიუროს ცნობით, ამ დღეებში მუშების მეტი ნაწილი დაითხოვა ქალაქ პორსგრუნის ფეხსაცმლის ფაბრიკამ. მოელიან, რომ ოსლოს ფეხსაცმლის საწარმოები კვლავ შეამცირებენ წარმოებას.

სირიის მთავრობის დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ლონდონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, სირიის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სთხოვს, რათა გენერალურმა ასამბლეამ, რომლის სესია ა. წ. ნოემბერში გაიხსნება პარიზში, სესიის დღის წესრიგში შეიტანოს და განიხილოს „საფრანგეთის მიერ მაროკოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის დარღვევის" საკითხი.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

სტალინირი. (საქ. კორ.). ქალაქ გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა ქალაქ სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის პიესა „სიჭაბუკე ბელადისა" (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ყუშიტაშვილისა).

სტალინირელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო მსახიობ გ. ციცქიშვილის თამაში. მან შესანიშნავად განასახიერა ჭაბუკი სოსოს როლი. როლების კარგი შესრულებით გამოირჩეოდნენ აგრეთვე მსახიობები ო. დათუნაშვილი, ლ. ცხვარიაშვილი, ს. ხაჯალია, ვ. ოსაძე, ა. ჩრდილელი და სხვ.

* * *

ლენინგორის რაიონულ კლუბში საინტერესო კონცერტი გამართა თბილისიდან ჩამოსულმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა, აგრეთვე გ. კიკნაძე, ი. ჯავახიშვილი, კ. მახარაძე და სხვ. რუსთაველის თეატრის მსახიობთა გამოსვლას ლენინგორელი მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ.

* * *

მშვიდობის თემამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა სამხრეთ ოსეთში მომუშავე მწერალთა შემოქმედებაში. საყურადღებო ნაწარმოებები მიუძღვნეს მშვიდობისათვის ბრძოლის თემას მწერლებმა კავკაზაგმა, რევაზ ასაევმა, გაფეზმა, ილია ფლიევმა, დავით ჯიოევმა, ივანე ცხოვრებოვმა.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

16 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე (ცეცხოველის ქ. № 11) გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეორე წლისთავთან დაკავშირებით წაიკითხავენ მოხსენებებს:

ა. იფხაზავა — გერმანიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

პროფესორი ტ. ათაშევოვი—გერმანიის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

მოხსენებათა შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი „დემოკრატიული გერმანია".

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი—მოწინავე—სოფლის კომუნისტების პარტიული სწავლება. საერთო სათაურით „სამგორის მშენებელთა შრომითი წარმატებანი" წერილები: მ. სანაძე—„თბილისის ზღვაზე". მ. დიდებაშვილი — ახალი პროფესია. ბ. ჩუბინიძე—ზრდის გზა. ს. თუთისანი—მებეტონეს სიტყვა. თ. ჯიბუტი — სახალხო მშენებლობის ადამიანები გადამწყვეტ უბნებზე.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა. მოტოგადარბენა თბილისი—კომუნიზმის დიადი მშენებლობანი.

მეორე გვერდი—გვერდი საერთო სათაურით „თბილისის მშენებლები მშვიდობის ვახტზე" წერილები: ნ. ყიფიანი—შესანიშნავი ცვლილებანი. ბ. დვალი—ქალაქის ყველაზე დიდი საცხოვრებელი შენობა. ა. თევზაძე—ახალმშენებლობათა ქალაქი. გ. კალაძე—დედაქალაქის მწვანე სარტყელი. ო. კაჭარავა—ხიდის მშენებლები. გ. ჩოგოვაძე—იქ, სადაც ორთაჭალის ჰიდროელსადგური იქნება.

მესამე გვერდი—საბჭოთა მთავრობის ნოტები პასუხად ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციისა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხზე.

აფხაზეთის ცხენოსნები. მხატვრული თვითმოქმედების საოლქო დათვალიერება. მხატვრული თვითმოქმედების მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადა. გ. ბონდარენკო—ამინდის მოლოდინში...

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

პოლიტსკოლაში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკის შესახებ

(დასასრული)

ლიან ბევრი კადრების ჩვენება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთ საუბარში შეიძლება გამოყენებულ იქნას არა უმეტეს 10-15 კადრისა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტის მუშაობაში მხატვრული ლიტერატურის გამოყენებას. ბევრი მათგანი ფართოდ იყენებს მხატვრულ ლიტერატურას შესასწავლი მასალის ამა თუ იმ დებულებათა ილუსტრაციისათვის.

როგორია პროპაგანდისტის საუბრის საილუსტრაციოდ მხატვრულ ნაწარმოებთა გამოყენების ძირითადი მეთოდური ხერხები? ნაწარმოები (ან მისი ნაწყვეტი) სავსებით უნდა შეესაბამებოდეს იმ აზრს, დებულებას, რომლის დასურათებაც სურს პროპაგანდისტს. იგი სავსებით მისაწვდომი უნდა იყოს მსმენელებისათვის ენის მხრივ და მოცულობით დიდი არ უნდა იყოს.

ერთმა პროპაგანდისტმა, როცა მსმენელებთან რეფორმის შემდეგდროინდელ მეფის რუსეთში ბატონყმობის ნაშთების საკითხს არჩევდა, მოხერხებულად გამოიყენა სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოები „ცხოვრების წვრილმანები". ილუსტრაციის სახით მან ამ ნაწარმოებიდან წაიკითხა ნაწყვეტი, რომელშიც გამოყვანილია „დარბაისელი" მემამულე კონონ ლუკას-ძე ლობკოვი, რომელიც სისხლს სწოვს გლეხებს. მოთხრობამ მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დაიწყო გაცხოველებული საუბარი, ყოველ მსმენელს უნდოდა გამოეთქვა თავისი აზრი განსახილველი საკითხის შესახებ.

მეორე პროპაგანდისტმა, რომელიც იხილავდა საკითხს სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებების შესახებ (თემიდან: „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო") და უნდოდა ეჩვენებინა საბჭოთა ადამიანის სიამაყე იმის გამო, რომ იგი სსრ კავშირის მოქალაქეა, წაიკითხა ვ. მაიაკოვსკის „ლექსი საბჭოთა პასპორტზე", რომელშიც მკაფიოდ გამოხატულია საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არა მარტო გამოვიყენოთ მხატვრული ლიტერატურა როგორც პროპაგანდისტის საუბრის ილუსტრაცია, არამედ აგრეთვე პოპულარიზაცია გავუწიოთ საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებებს, განვუვითაროთ მსმენელებს ინტერესი მხატვრული ლიტერატურის სისტემატური კითხვისადმი. მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა კითხვა წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას საერთო განათლების დონის ასამაღლებლად, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საშუალებას. სისტემატური კითხვა პოლიტსკოლის მსმენელებს უფართოებს ჰორიზონტს, უვითარებს მათ ინტერესს არა მარტო მხატვრული, არამედ აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისადმი.

უმჯობესია მსმენელებს ვურჩიოთ ლიტერატურა არა სიით, არამედ ვურჩიოთ ცალკეული ნაწარმოებები პოლიტსკოლის კურსის ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით.

ბევრი პროპაგანდისტი თავის მუშაობაში ფართოდ იყენებს მრავალფეროვან ადგილობრივ მასალას. ისინი იყენებენ ლიტერატურას და დოკუმენტებს ჩვენი სამშობლოს ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობების, ქალაქებისა და სოფლების ისტორიიდან. ადგილობრივი ფაქტების გამოყენება აცოცხლებს საუბარს, ააქტიურებს მსმენელებს, უფრო გასაგებს ხდის შესასწავლ მასალას. მაგრამ ადგილობრივი მასალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ საერთო სოციალურ-ეკონომიური ან პოლიტიკური მოვლენების ჩვენებისათვის, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა წარსულში ან ხდება ამჟამად. საჭიროა, რომ ადგილობრივი მასალის გამოყენება ეხმარებოდეს მსმენელებს პოლიტსკოლის კურსის ძირითადი იდეების შეთვისებაში. პოლიტსკოლის მეცადინეობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოვიყენოთ მასალა მოცემული კოლექტივის მიმდინარე საწარმოო საქმიანობის შესახებ. ეს მსმენელებს დაეხმარება პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების შესწავლა დაუკავშირონ მოცემული კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებს, გააძლიერებს მეცადინეობის დამრაზმავ როლს.

პოლიტსკოლის პროპაგანდისტსა და მსმენელებს სერიოზულ დახმარებას გაუწევს ექსკურსიები მუზეუმებში. ამისათვის დიდი შესაძლებლობანი აქვთ მოსკოვის, ლენინგრადის, რესპუბლიკური ცენტრების პროპაგანდისტებს. თითქმის ყველა საოლქო ცენტრებში და ბევრ რაიონში არის სამხარეთმცოდნეო მუზეუმები. ამ მუზეუმებში პროპაგანდისტი ნახავს მასალებს, რომლებიც ახასიათებენ როგორც ჩვენი სამშობლოს რევოლუციამდელ წარსულს, ისე განსაკუთრებით სოციალისტურ მშენებლობას.

ექსკურსიები მუზეუმში უმჯობესია ეწყობოდეს ან კურსის ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე თემის შესწავლის ბოლოს, ან მთელი კურსის გამეორების დროს. ექსკურსიები შეიძლება მოეწყოს ცალკეული თემების მიხედვითაც.

* * *

ამ სტატიაში მოცემულ მეთოდურ რჩევათა მიზანია დაეხმაროს პროპაგანდისტებს სწორად მოაწყონ მეცადინეობა პოლიტსკოლაში. პროპაგანდისტი შემოქმედებითად უნდა უდგებოდეს პოლიტსკოლაში მეცადინეობის ორგანიზაციას და ჩატარებას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უნარიანად ვიყენებდეთ პოლიტსკოლაში მეცადინეობის ჩატარების გამოცდილებას, მუდამ სრულვყოფდეთ ჩვენს ოსტატობას, ვაუმჯობესებდეთ მეცადინეობის მეთოდიკას, განუწყვეტლივ ვიმაღლებდეთ ჩვენს ცოდნას. ეს არის თვითეული პოლიტსკოლის წარმატებითი მუშაობის საწინდარი.

(წიგნიდან: „პოლიტსკოლაში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკის შესახებ").

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

14 ოქტომბერს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი. 10.30 — „პიონერთა დილის საკვირაო გამოშვება". 12.15 — ქართული ხალხური ზღაპრის — „ასფურცელას" რადიოინსცენირება. 13.20 — კონცერტი. 13.50 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება № 50". 14.45 — კინოფილმ „ოქროს ვარსკვლავის კავალერის" რადიომონტაჟი. 17.10 — კონცერტი მოსწავლეთათვის. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — ნარკვევი „გამსხვილებული კოლმეურნეობის ახალგაზრდობა". 19.15 — საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ანჟელინა მიქაბერიძის კონცერტი. 20.30 — ქალაქის ქსელით — სავიოლინო მუსიკის კონცერტი, 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნიკოლოზ ბელქნელის და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გრიგოლ გრიგორაშვილის შესრულებით. 21.10—საუბარი: „იმპერიალისტების საომარი მზადება დასავლეთ გერმანიაში". 21.30 — რახმანინოვის საფორტეპიანო ნაწარმოებები. 21.55 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 22.40 — ლიტერატურული გადაცემა — ლერმონტოვის ლექსები. 23.00 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 24.00 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„ტრუბადური" (მე-10 აბ.); რუსთაველის სახელობის — „ყაჩაღები"; მარჯანიშვილის სახელობის — „სანაპიროზე"; გრიბოედოვის სახელობის — „სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება" (26-ე და 27-ე აბ.); ხალხური დრამის — „სოსო და ვარდითერი"; მუსიკალური კომედიის — „მეგობრები"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „ბაში-აჩუკი" (მე-9 აბ. 7 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული — „მშვენიერი ვასილისა" (10 ს.), „განკიცხულნი" (4 ს.); თოჯინების ქართული — „ბებია დარეჯანის ზღაპრები" (11 ს.); ხანკულტურის—„ჩვენი ახალგაზრდობა".

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1951 წ. 24 ოქტომბერს, დილის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად პლატონ ივანეს-ძე ჯიშკარიანი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „აგრარული გარდაქმნების საკითხისათვის თანამედროვე ბულგარეთში (1945-1948 წ. წ.)".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი დ. პოლუმორდვინოვი, დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი ვ. დონაძე, დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი ი. ტაბაღუა.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე მიხეილ დავითის-ძე ზარიძემ, მცხოვრებმა მეოთხე ჯავის ქ. № 13, აღძრა საქმე მასნიკოვის ქ. № 62 მცხოვრებ მოქალაქე თამარ ალექსის ასულ მეხაშიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები გუგული, ელენე, რძალი ელისო, შვილიშვილები ნანული, თემურ, მედეა, სიძე ი. შამუგია იუწყებიან ექიმ ანაიდა გაბრიელის ასულ მიქაშავიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/X, 8 ს. გამოსვენება 16/X, 5 ს. საბჭოს, 9.

მეუღლე ოლღა, დები ნანო, ელენე, დისწული ლიზა, სიძე კ. ნემსაძე, ცოლისდები ვალენტინა, ლიდა ჩიჩიბაიები, ვერა, მიხეილ და გიორგი კუკალევსკები იუწყებიან, რომ 14/X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია გიორგი ბაბვას-ძე ფიფიას პანაშვიდი.

მეუღლე დომნიკა, ცოლისძმები ისიდორე, გაბრიელ, იასონ, ზიკენტი, რძლები ტასია, კატო, მარო, პილასი, ქუქუნა, დომნა, ვერა თოხაძეები იუწყებიან არტემ ექვთიმეს-ძე კოპალეიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/X, ლანჩხუთში.

შვილები ალექსანდრე, ვალენტი, ვერა, რძლები ანა, ნათელა, შვილიშვილები მერი, ლენა, თინა, ოთარ გიორგაძეები, სიძე ს. კალაძე იუწყებიან ოლღა ხოფრომის ასულ გიორგაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/X, ს. ზედა ეწერში (სამტრედიის რ.).

შვილი მინდია სირაძე, დები ე. ქუთათელაძე, ე. მაჭარაძე, თამარ, ოლღა მესხები, ძმები ნიკოლოზ, ალექსანდრე, ირაკლი მესხები, სიძეები ვ. ვეფხვაძე, გ. მაჭარაძე ოჯახებით იუწყებიან ნინო ხერგის ასულ მესხის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13/X, 8 ს. გამოსვენება 14/X, 2 ს. ბელინსკის, 28.

დედა ალექსანდრა, მეუღლე ნინო, დები სონია, ეკატერინე, სიძეები ლევან ჟორდანია, პარქიპ ხაჩატრიანი იუწყებიან არტაშ ხარქოსის-ძე ჯაჰვიევის გარდაცვალებას. გამოსვენება 14/X, 3 ს. ბარნოვის, 27.

ქალთა 45-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან გაიოზ გიორგის-ძე ბარდაველიძის გარდაცვალებას.

დედა მარიამ, დები სონია, საშა, ანა, სიძეები პლატონ კიკვიძე, ვალიკო გოცირიძე იუწყებიან ეკატერინე რაფიელის ასულ ჯაფარიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 14/X, 3 ს. შევჩენკოს, 3.

მშობლები ნარიო, პავლე, დები ნინო, დარეჯან, ძმა ვანო, რძალი ქეთო, ძმისწული გურამ ლომაძეები იუწყებიან, რომ 14/X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ქეთო პავლეს ასულ ლომაძე-მარგველაშვილის პანაშვიდი.

და ნინო, ძმა იოსებ, რძალი ნინო, ძმისწულება ნანა და მარიან ელისაშვილები იუწყებიან, რომ 14/X, 2 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია ბარბარე ილარიონის ასულ ელისაშვილის პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოს — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 03270